

მოქალაქეობა



მოსწავლის ციგნი



# სარჩევი

1. ადამიანის უფლებები . . . . .	5
1. ადამიანის უფლებების განვითარება . . . . .	6
2. ადამიანის უფლებების რეალიზაციის მექანიზმები . . . . .	11
2. მოქალაქეობა და გლობალური მოქალაქეობა . . . . .	14
1. მოქალაქეობის ისტორია . . . . .	15
2. მოქალაქეობის საკითხი დღევანდელ მსოფლიოში . . . . .	20
3. მოქალაქეობა საქართველოში . . . . .	24
4. გლობალური მოქალაქეობა . . . . .	28
5. გლობალიზაცია . . . . .	34
3. პიროვნების განვითარების პროცესი . . . . .	38
1. ფსიქო-სოციალური უნარები . . . . .	39
2. პიროვნება და საზოგადოება . . . . .	41
4. დეზინფორმაცია და მისი შედეგები . . . . .	49
1. დეზინფორმაცია და ყალბი ამბები . . . . .	49
2. კონფორმულობა და პოსტიმართლე . . . . .	51
3. ფაქტი და მოსაზრება . . . . .	56
ლექსიკონ . . . . .	59


სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები:



სავარჯიშო



კინოდარბაზი



კომპლექსური დავალება


# 1. ადამიანის უფლებები

ამ პარაგრაფში გავიხსენებთ, როგორ ყალიბდებოდა ადამიანის უფლებები და როგორ უკავშირდება მას მოქალაქეობის იდეა.

თქვენ იცით, რომ უფლებების გაგება ოდითგანვე არ ყოფილა განსაზღვრული და ეს პროცესი ეტაპობრივი, ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი იყო.

ძველ სამყაროში ინდივიდის უფლებები ცნების დონეზეც არ არსებობდა. ითვლებოდა, რომ ადამიანები ბატონებად და ქვეშევრდომებად უნდა ყოფილიყვნენ დაყოფილნი. უფრო მეტიც, სოციალური კიბის უდაბლეს საფეხურზე მყოფ მონებს ადამიანებადაც კი არ აღიქვამდნენ.

ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის ადამიანებმა უძველესი დროიდან დაიწყეს. ისტორიიდან გახსოვთ, რომ ეს პროცესი მეტ-ნაკლები სიმძაფრით ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანაში მიმდინარეობდა – ხან მშვიდობიანად, ხან კი სისხლისმდვრელი ფორმებით.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.

## კომპლექსური დავალება ადამიანის უფლებები დროის ჭრილში

ამ პარაგრაფის შესწავლისას თქვენ დროში იმოგზაურებთ და დააკვირდებით ადამიანის უფლებების განვითარების პროცესს, პარაგრაფის დასრულების შემდეგ შექმნით დროის ხაზი, რომელზეც წარმოდგენილი იქნება უფლებების განვითარების პროცესიდან თქვენთვის მნიშვნელოვანი მომენტები, ანტიკური ხანიდან თანამედროვე პერიოდამდე.

### დროის ხაზის პრეზენტაციის დროს თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- ადამიანის ცხოვრების რა ასპექტებს უკავშირდებოდა სხვადასხვა თაობის უფლებები და როგორი იყო მათი გავლენა საზოგადოებაზე?
- რატომ და რა ხერხებით ცდილობდნენ ადამიანები უფლებების მოპოვებას სხვადასხვა ეპოქაში? რა შედეგებს აღწევდნენ ისინი?
- რამ უბიძგა მსოფლიოს შეთანხმებულიყო ადამიანის საყოველთაო უფლებებზე? რატომ აღარ განიხილება უფლებები ერთმანეთისგან განცალკევებულად?
- ვის და როგორ ევალება ადამიანის უფლებების დაცვა და დაცვის რა მექანიზმები არსებობს?

### რეკომენდაცია:

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას გაეცნობით სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში. ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და რვეულში მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომლებიც ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

დროის ხაზზე წლების მიხედვით შეგიძლიათ განათავსოთ ფოტოები, რომლებიც მსმენელს გააცნობს ადამიანის უფლებების განვითარებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ცნობილ უფლებათა დამცველებს ან სამართლებრივ დოკუმენტებს. სიტყვით გამოსვლისას კი შეგეძლებათ, სხორცედ თქვენ მიერ არჩეულ ფაქტებზე გაამახვილოთ ყურადღება და მათი დახმარებით პასუხი გასცეთ ზემოთ მოცემულ კითხვებს.

დროის ხაზის შესრულება შეგიძლიათ როგორც ფორმატზე, ისე ელექტრონულად, მაგალითად, [canva.com](http://canva.com)-ზე.

## 1. ადამიანის უფლებების განვითარება


- ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციების ისტორიიდან, ალბათ, გახსოვთ აჯანყებები შუმერის ქალაქებში და ძველ ეგვიპტეში, სადაც შეიარაღებულ აჯანყებებთან ერთად მშვიდობიანი გაფიცვებიც ხდებოდა. მაგალითად, ტაძრების მშენებლობისას ფარაონ რამზეს III-ის წინააღმდეგ მომუშავეთა გაფიცვა ეგვიპტეში ძვ. წ. 1159 წელს, რომელიც გაფიცულთა მოთხოვნების დაკამაყოფილებით (მოხელეთა თვითნების აღმვითა და მუშებისათვის ანაზღაურების გაზრდით) დასრულდა;
- ძველ რომში პლებების (სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი მოსახლეობის დიდი ნაწილის) წარმატებული გაფიცვა პატრიციების (გაბატონებული სოციალური ფენის) წინააღმდეგ ძვ. წ. 494 წელს – პატრიციებისაგან შევიწროებულმა პლებებმა დატოვეს რომი და ქალაქებრეთ გავიდნენ საცხოვრებლად. რომში სრულიად მოიშალა ეკონომიკური ცხოვრება, აღარ ხდებოდა გადასახადების აკრეფა და სახელმწიფო სისტემის არსებობას საფრთხე დაემუქრა. პატრიციები იძულებული გახდნენ, სხვადასხვა ლონისძიება განეხორციელებინათ პლებების ინტერესების დასაცავად და პლებები მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდნენ რომში;
- ინდოეთში ძვ. წ. III საუკუნეში, აშოკას (მაურიების დინასტიის წარმომადგენელი, ძვ. წ. 268 – 232) მმართველობის პერიოდში, გატარდა რეფორმები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დამკვიდრების ერთ-ერთი უძველესი მაგალითია. მართალია, ახალ სახელმწიფო რელიგიად ბუდიზმი გამოცხადდა, მაგრამ ყველა რელიგიის მიმდევარს მიეცა რწმენის თავისუფლება; შეიქმნა მოხელეთა სპეციალური გუნდი, რომელთა საქმიანობის მიზანიც ყველა ადამიანის (მათ შორის, დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონეთა, ასევე პატიმრების) უფლებების დაცვა იყო; სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს მიზნად არაძალადობა, ურთიერთპატივისცემა და ტოლერანტობა გამოცხადდა;
- ადამიანთა უფლებების აღიარების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს „აპრაამული რელიგიების“ (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი – სახელწოდება მომდინარეობს ბიბლიური მამამთავრის, აპრაამის სახელიდან) წარმომადგენელმა მოაზროვნება. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ იწყება სასულიერო პირების, პირველი წმინდანების და ფილოსოფოსების მოღვაწეობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადრეული ქრისტიანობის წარმომადგენელი თეოლოგის, მწერლისა და იურისტის ტერტულიანეს (ახ. წ. II-III საუკუნეები) მოღვაწეობა. იგი იცავდა ადამიანის უფლებებისა



საზოგადოების საქმიანობა.  
ძველებების სტურაცია



აშოკას პერიოდის სარელიეფი (ძვ. წ. III ს.)



ტერტულიანე (ახ. წ. 155 – 220 წე.)

- და თავისუფლებების იდეას. მისი შემოტანილია ცნება „ადამიანის ძირითადი უფლებები“. ტერტულიანეს შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის ქრისტიანი მამების (წეტარი ავგუსტინესა და სხვების) ხედვების ჩამოყალიბებაზე;
- შუა საუკუნეების ისტორიიდან გახსოვთ XIII საუკუნის დასაწყისში ფეოდალთა აჯანყება ინგლისში მეფის ძალაუფლების შეზღუდვის მოთხოვნით. ხელშეკრულებით, რომელიც ინგლისის მეფესა და მის წინააღმდეგ აჯანყებულ ინგლისელ ბარონთა შორის დაიდო 1215 წელს, შეიზღუდა მეფის ძალაუფლება. ეს ხელშეკრულება („თავისუფლების დიდი ქარტია“) საფუძვლად დაედო ინგლისში საპარლამენტო სისტემის შექმნას და იგი სამართლებრივი სახელმწიფოსა და პიროვნების უფლებების დასაცავად შექმნილ ერთ-ერთ უპირველეს დოკუმენტად ითვლება;
  - საქართველოში თამარის მმართველობის პერიოდში, XII საუკუნის ბოლოს, ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილმა მოითხოვა ე. წ. „ისნის კარვის“ დაფუძნება. „კარავს“ უნდა ჰქონოდა საკანონმდებლო უფლებები და დაკომპლექტებული ყოფილიყო დიდგვაროვნებისა და ქალაქების მაღალ ფენათა წარმომადგენლებისგან. ბევრი მკვლევარი „კარვის“ დაარსებას საქართველოში პარლამენტარიზმის დამკვიდრების პირველ მცდელობად მიიჩნევს;
  - გვიან შუა საუკუნეებში და ახალი ეპოქის დასაწყისში ევროპაში ბევრი კონფლიქტი უფლებების დასაცავად ან მოსაპოვებლად მიმდინარეობდა. მაგალითად, აღსანიშნავია გლეხთა ომი გერმანიაში (1524-1526)
    - გლეხების აჯანყება კათოლიკური ეკლესიისა და მსხვილი გერმანელი ფეოდალების წინააღმდეგ, როცა აჯანყებულთა რაოდენობამ 300 ათასს მიაღწია და რომელიც ფეოდალებმა დიდი ბრძოლის შედეგად ჩაახშვეს. ასევე შეიძლება გავიხსენოთ XVI-XVII საუკუნეებში მიმდინარე ხანგრძლივი რელიგიური ომები პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის ეპროპაში (საფრანგეთში, გერმანიაში და ა. შ.). მიუხედავად შედეგისა, ამ ბრძოლებით დაპირისპირებულმა მხარეებმა თანდათან მოახერხეს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება (გლეხთა უფლებების შედარებითი ზრდა, რელიგიური რწმენის თავისუფლების დამკვიდრება ზოგ ქვეყანაში და ა. შ.);
  - ისტორიიდან იცით უფლებებისათვის ბრძოლის ისეთი მაგალითები, როგორებიცაა რევოლუციები ევროპაში: ნიდერლანდებში (XVI ს.); ინგლისში (XVII ს.); საფრანგეთში (XVIII საუკუნის ბოლო); ჩრდილოეთ ამერიკის ბრიტანული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რასაც აშშ-ის შექმნა მოჰყვა (XVIII საუკუნის ბოლო);
  - უფლებებისათვის ბრძოლა არა მარტო ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მიმდინარეობდა. 1850 – 1871 წლებში ჩინეთში ტაიპინების (ტაიპინგის) აჯანყება მოხდა. ეს იყო ჩინეთის იმპერატორისა და ევროპელების



გლეხთა ომი გერმანიაში (1524-1526)



ბასტილის აღება (1789),  
საფრანგეთის დიდი რევოლუცია

წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყება. აჯანყების ლიდერი პონგ სიუჩუანი თავს ქრისტეს ძმად აცხადებდა და ოფიციალურ ჩინურ იდეოლოგიას – კონფუციანულობას – უპირისპირდებოდა. ტაიპინები მოწინააღმდეგეთა მიმართ სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ჩინეთის საიმპერიო ძალებმა ევროპელთა დახმარებით ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩაახშვეს აჯანყება, რომელსაც, სხვადასხვა მონაცემით, 20-იდან 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა;

- უფლებებისათვის ბრძოლა ყოველთვის ომებითა და აჯანყებებით არ ხდებოდა. იყო შედარებით მშვიდობიანი ბრძოლაც. ამის მაგალითია აფროამერიკელთა ბრძოლა უფლებებისათვის (რასობრივი ჩაგვრის – სეგრეგაციის წინააღმდეგ) აშშ-ში XIX საუკუნის ბოლოსა და თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში, ასევე ინდოელი ხალხის ბრძოლა ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ – ეროვნული მოძრაობა მაჰატმა განდის ხელმძღვანელობით, რომელმაც პირველად დაიწყო ინდოეთის მოსახლეობის არაძალადობრივი ბრძოლის კამპანია და რომლის მშვიდობიანი წინააღმდეგობის მეთოდები დღეს მთელ მსოფლიოში გამოიყენება;
- საქართველოს ისტორიაშიც არსებობს უფლებებისათვის მშვიდობიანი ბრძოლის მრავალი მაგალითი:
  - XIX საუკუნის ბოლოს ქართველი საზოგადო მოღვაწეები (ილია ჭავჭავაძე, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე) საზოგადოებრივი კამპანიებით იცავდნენ ქართველი მუსლიმების უფლებებს აჭარაში, რომლებსაც რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ავინწროებდა;
  - ეუთოს მიერ სახელმწიფოთა შორის ახალი, (ცივილიზებული ურთიერთობის დოკუმენტის – ჰელსინკის აქტის მიღების შემდეგ (1975 წ.), რომელსაც მრავალი სახელმწიფო (მათ შორის აშშ, ევროპის ქვეყნები, საბჭოთა კავშირი) შეუერთდა, გაჩნდა ადამიანის უფლებების დავის ახალი შესაძლებლობა. ამას საქართველოში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ საქართველოს ჰელსინკის კავშირის დაარსება მოჰყვა (1976), რომელიც, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან გატარებული რეპრესიებისა, მშვიდობიანი გზებით ცდილობდა საქართველოში ადამიანის უფლებათა და ქართველი ერის უფლებათა დაცვას;
  - XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებულ მშვიდობიან პროტესტებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით, შედეგად 1991 წლს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოჰყვა.

მიტინგი თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით,  
1989 წლის 9 აპრილი



„მარში ვაშინგტონისკენ“ – დემონსტრაცია სეგრეგაციის წინააღმდეგ (1962), აშშ



ეს მოვლენები მხოლოდ სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფების (მოსახლეობის დიდი ნაწილის) ბრძოლა არ იყო ელიტების წინააღმდეგ. ხშირი იყო სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის ბრძოლა პირველობისათვის და ა. შ.



### სავარჯიშო № 1

**შეეცადეთ გაიხსენოთ უფლებების მოპოვების მაგალითები დღევანდელ მსოფლიოში (როგორც საქართველოში, ისე გლობალურ დონეზე).**

თქვენი აზრით, რომელი მათგანი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რაც ცვლის მსოფლიოს განვითარების პროცესს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.



### ადამიანის ძირითადი უფლებების სახეები

ადამიანის უფლებების გაგება ეტაპობრივად ყალიბდებოდა. საზოგადოების მიერ თითოეული უფლების აღიარებას საუკუნეები დასჭირდა. რომელიმე უფლების აღიარება არ ნიშნავდა მის საბოლოო დამკიდრებას, უფლებამოსილებები ხან იკვეცებოდა, ხან ფართოვდებოდა.



უფლებები თავისი შინაარსით შეიძლება დაიყოს სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებად. ეს დაყოფა პირობითია. მსოფლიოში მუდამ მიდიოდა და ახლაც მიმდინარეობს დისკუსია, თუ რა არის ადამიანის უფლებები. არსებობს მრავალი ფილოსოფიური მოძღვრება, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებს თანდაყოლილ (ზოგჯერ მათ ნეგატიურ ან ბუნებით უფლებებს უწოდებენ) და შეძენილ (მათ პოზიტიური უფლებები ეწოდება) უფლებებს. გარდა ამისა, კიდევ მრავალი განმარტება არსებობს. მაგრამ მიუხედავად განსხვავებისა, ყველა ხედვა აღიარებს ამ უფლებების არსებობას, რომელიც ინდივიდს, პიროვნებას აქვს. სწორედ ამიტომ ამ უფლებებს ზოგადად „ადამიანის უფლებები“ ეწოდება და არა „ადამიანების (ადამიანთა ჯგუფების) უფლებები“.

ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება სხვადასხვა ინტერესი ჰქონდეს. მაგალითად, ცალკეული ეთნიკური ჯგუფი შეიძლება დამოუკიდებლობას ითხოვდეს, რაც არსებულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება; რომელიმე სოციალური ჯგუფი (მაგალითად, მუშები) შეიძლება ხელფასის ზრდას ითხოვდეს, რაც მეორე ჯგუფს (დამსაქმებლები, ბიზნესი) შეიძლება არ მოსწონდეს და ა. შ. შესაბამისად, ცალკეულ ადამიანთა ჯგუფების უფლებების მიმართ დამოკიდებულება ურთიერთწინააღმდეგობრივია. რაც შეეხება ინდივიდის (ცალკეული ადამიანის) უფლებებს, ამასთან დაკავშირებით მსოფლიოში კონსენსუსი არსებობს, ყველა ერთხმად აღიარებს მათ.



**სამოქალაქო უფლებები შედარებით ადრე განვითარდა (პირადი თავისუფლება, ოჯახის შექმნისა და კერძო საკუთრების უფლება). საუკუნეთა მანძილზე მონათა ადგილს თანდათან**

თავისუფალი ფერბი (გლეხები, მოგვიანებით კი ქალაქების მცხოვრები – მოქალაქეები) იყავებდნენ, თუმცა მათ დიდ ნაწილს მაინც არ შეეძლო მართვის პროცესში მონაწილეობა.

**პოლიტიკური უფლებები.** სამოქალაქო უფლებების გაჩენა საკმარისი არ აღმოჩნდა საზოგადოების განვითარებისათვის. ადამიანები ხედავდნენ, რომ გადასახადებს, რომ-ლებსაც იხდიდნენ, მმართველი ელიტა ისე ხარჯავდა, რომ ხალხის აზრს არ ითვალისწინებდა. თანდათან ძლიერდებოდა სურვილი, რომ გადასახადების გზით მოკრებილი თანხები სწორედ გადამხდელთა საჭიროებების მიხედვით დახარჯულიყო.

საზოგადოება ასევე მოითხოვდა, რომ კანონები ადამიანთა მცირე ჯგუფს კი არ მიეღო, არამედ საყოველთაო მსჯელობის შედეგად დადგენილიყო.

XIX საუკუნეში ჯერ ევროპასა და აშშ-ში, შემდეგ სხვა ქვეყნებშიც თანდათან დამკვიდრდა პოლიტიკური უფლებები, რაც ქვეყნის მმართველობის პროცესში მთელი მოსახლეობის მონაწილეობაში გამოიხატა. მაგალითისათვის, დიდ ბრიტანეთში საზოგადოების მოთხოვნის შედეგად პარლამენტმა თანდათან გააფართოვა არჩევნებში მონაწილე პირთა წრე – XIX საუკუნის ბოლოსათვის ეს უფლება ყველა მამაკაცმა მოიპოვა – პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეტაპობრივად მიიღეს წვრილმა ვაჭრებმა, მუშებმა, ხელოსნებმა, ფერმერებმა და ა. შ.

XX საუკუნის დასაწყისიდან გააქტიურდნენ ქალები, რომლებიც პოლიტიკური უფლებების მინიჭებას მოითხოვდნენ. ქალთა მოძრაობას „სუფრაჟისტთა“ მოძრაობა ეწოდა (ფრანგ. suffrage – ხმის უფლება). ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ქალებმა თანდათან მამაკაცთა თანაბარი პოლიტიკური უფლებები მოიპოვეს.



ალბათ, გახსოვთ, რომ საქართველოში ქალებმა პოლიტიკური უფლებები ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე (აშშ, დასავლეთ ევროპა) ადრე მოიპოვეს:

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 – 1921) პარლამენტში (დამფუძნებელ კრებაში) 130 დეპუტატიდან 5 ქალი იყო.
- საქართველოში მსოფლიოში პირველად მუსლიმურმა თემმა დემოკრატიული წესით აირჩია მუსლიმი ქალი (ტფილისის მაზრის თვითმმართველობის ორგანოს – ერობის წევრი, 34 წლის აზერბაიჯანელი ქალბატონი ფარი-ხანუმ სოფიევა).



## სავარჯიშო № 2

რა მნიშვნელობა ჰქონდა არჩევნების პროცესში თითოეული მოქალაქის ჩართულობას, განურჩევლად მისი სქესისა თუ ქონებრივი მდგომარეობისა? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

**სოციალურ-ეკონომიკური უფლებები** ადამიანის უფლებებს შორის ყველაზე გვიან განვითარდა (XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და, განსაკუთრებით, XX საუკუნეში). საზოგადოება ცდილობდა, დაეცვა თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური მინიმუმის მიღების (პენსიები, უმუშევართა დახმარება) უფლებები. შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ, სათანადო ღონისძიებები გაეტარებინათ ამ მიმართულებით, შეექმნათ საჭირო სისტემები (განათლების, ჯანდაცვისა და ა. შ.). გარდა ამისა, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, გარკვეულ შემთხვევაში დახმარებოდა დაბალი სოციალური სტატუსის მქონე და მცირეშემოსავლიან მოქალაქეებს. ასეთი რამ ადრეც

ხდებოდა (რომის იმპერიაში სიღარიბეში მყოფ მოსახლეობას პურს ურიგებდნენ), მაგრამ ჩვენს ეპოქაში ეს უკვე საყოველთაო მოვლენა გახდა:

- XIX საუკუნის ბოლოდან სახელმწიფოები იწყებენ საყოველთაო განათლების მხარდაჭერას
  - სკოლები ხელმისაწვდომი გახდა ღარიბებისთვისაც. ამავე დროიდან მუშებმა მიიღეს ანაზღაურებადი შვებულების უფლება და ა. შ. (განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის იმპერიაში კანცლერ ბისმარკის რეფორმები);
- XX საუკუნის დასაწყისიდან სახელმწიფოები აყალიბებენ საპენსიო ფონდებს, ავადმყოფობის შემთხვევაში ან სხვა სირთულეების წარმოშობისას (ეკოლოგიური კატასტროფები, ეკონომიკური კრიზისების და სხვ.) გასცემენ შესაბამის დახმარებებს. ამ სფეროში ჯერ საფრანგეთი დაწინაურდა, ამჟამად ამ მხრივ სკანდინავიის ქვეყნები ლიდერობენ. აშშ-შიც კი, სადაც შედარებით მემარჯვენე ეკონომიკური სისტემა, ბიუჯეტის 60%-ზე მეტი სოციალურ პროგრამებზე იხარჯება.



### საპარჯიშო № 3

**როგორ ფიქრობთ, რატომ აღიარეს სამოქალაქო უფლებები ყველაზე ადრე? იმსჯელეთ, ადამიანის უფლებათა შორის რატომ განვითარდა ყველაზე გვიან სოციალური და ეკონომიკური უფლებები? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.**

## 2. ადამიანის უფლებების რეალიზაციის მექანიზმები

თქვენ უკვე იცით, რომ სახელმწიფო ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იქმნება. ადამიანები ქმნიან სახელმწიფოებს და დებენ მასთან „სოციალურ კონტრაქტს“ – ისინი ემორჩილებიან დადგენილ ერთიან წესებს და სამაგიეროდ იღებენ საკუთარი უფლებების დაცვის გარანტიას (თავისუფლება, პირადი და საკუთრების ხელშეუხებლობა, არსებული რესურსებისა და სიმძიდრის განაწილება).

ყველა სახელმწიფოს აქვს შესაბამისი სტრუქტურები, რათა დაიცვას ის საზოგადოება, რომელსაც ემსახურება.

საკანონმდებლო ხელისუფლება (პარლამენტი)	აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობა	სასამართლო სისტემა – პირველი დონის, სააპელაციო და უზენაესი სა- სამართლოები
კანონებითა და სხვა სამართლე- ბრივი აქტებით ად- გენს „თამაშის წე- სებს“, მათ შორის, იმისთვისაც, რომ დაიცვას ზოგადად საზოგადოებისა და კერძოდ ცალკეული ინდივიდის უფლე- ბები.	შესაბამისი ინსტიტუტის მეშვეობით რე- აგირებს საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. მაგალითად: <ul style="list-style-type: none"> <li>▪ შინაგან საქმეთა სამინისტრო – ეპრდ- ვის დამნაშავეობას და უზრუნველყ- ოფს წესრიგს ქვეყნის შიგნით;</li> <li>▪ თავდაცვის სამინისტრო – იცავს ქვეყ- ანას საგარეო საფრთხეებისაგან, უცხო ქვეყნის მხრიდან შესაძლო აგრესისაგან;</li> <li>▪ ჯანდაცვის სამინისტრო – იცავს მო- სახლებისას ჯანმრთელობასთან დაკა- ვშირებული შესაძლო საფრთხეებისაგან (მაგალითად, ეპიდემიებისგან) და ა. შ.</li> </ul>	განხილავს დავ- ებს, რომლებიც ადამიანებს შო- რის, ადამიანთა და ცალკეულ ორგა- ნიზაციებს შორის, ორგანიზაციებს შორის და ყველა მათგანის სახელმ- წიფოსთან ურთიერ- თობის პროცესში წამოიქმნება.


გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში არსებობს სტრუქტურები, რომელთა მოვალეობაა ადა-მიანის ძირეულ უფლებათა დაცვა (სახალხო დამცველი/ომბუდსმენი, პერსონალურ მო-ნაცემთა დაცვა და ა. შ.).

თქვენ იცით, რომ ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ სახელმწიფო დონეზე არ ხდება. ამ პროცესში საერთაშორისო სისტემებიცაა ჩართული.


ბოლო საუკუნის განმავლობაში ადამიანის უფლებები, მიუხედავად მათი დამკიდ-რების დროისა, ერთიან სამართლებრივ და ღირებულებათა სისტემად აღიქმება. ამ უფლებების დაცვა არა მარტო ცალკეული სახელმწიფოების, არამედ საერთაშორისო საზოგადოების მოვალეობად იქცა და, შესაბამისად, ამ მიზნის მისაღწევად არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია შექმნილი.

მათგან ერთ-ერთი უმთავრესია გაერთიანებული ერების მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული „**ადა-მიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**“. საქართველომ დეკლარაციის რატიფიკაცია 1991 წლის 15 სექტემბერს, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მცრე დროში, მოახდინა.

 **სავარჯიშო № 4**  
გაიხსენეთ, რა პროცესები უძლოდა წინ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკ-ლარაციის“ მიღებას?



„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ გარდა, თანდათან შემუშავდა სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიც. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავი-სუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**“, რომელიც 1950 წლის 4 ნოემბერს მიიღეს რომში. მომდევნო წლებში კონვენციაში ცვლილებები შევიდა, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა კონვენციის გავლენის სფერო. კონვენცია შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის სამართლებრივი დოკუმენტია. საქართველო კონვენციას 1999 წლის 27 აპრილს შეუერთდა.



შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ როგორც ცალკეული სახელმწიფოები, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებები იძლევა ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებების დაცვის გარანტიებს, როგორიცაა:

1. სიცოცხლის უფლება;
2. წამების აკრძალვა;
3. მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა;
4. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება;
5. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება;
6. არავითარი სასჯელი კანონის გარეშე;
7. პირის და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება;
8. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
9. გამოხატვის თავისუფლება;

10. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება;
11. ქორწინების უფლება;
12. სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება;
13. დისკრიმინაციის აკრძალვა;
14. უფლებების შეზღუდვის წესი საგანგებო მდგომარეობის დროს;
15. საკუთრების დაცვა;
16. განათლების უფლება;
17. თავისუფალი არჩევნების უფლება;
18. ვალაუვალობის/გაკოტრების გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა;
19. მიმოსვლის თავისუფლება;
20. მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა;
21. უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა;
22. სიკედილით დასჯის გაუქმება;
23. სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება;
24. კომპენსაცია მცდარი მსჯავრდებისათვის;
25. მეუღლეთა თანასწორობა.

კონვენციები არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს. ამავე დროს, ეს უფლებები მხოლოდ ქალალზე რომ არ დარჩეს, არსებობს უფლებათა დაცვის რეალური საშუალებები.

ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა-თვის ასეთი საშუალებაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (საზოგადოებაში ის „სტრასბურგის სასამართლოს“ სახელითაა ცნობილი).

სასამართლო დაკომპლექტებულია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენელი, 6 წლის ვადით არჩეული, მოსამართლეებით. სასამართლო განიხილავს იმ საქმეებს, რომელთა შესახებაც კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლო სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მომჩინან მხარეს არ აკმაყოფილებს. თუ ევროპული სასამართლო გაამტყუნებს სახელმწიფოს სასამართლო სისტემას და დაადგენს, რომ მოქალაქის უფლება მართლაც დარღვეულია, შესაბამისი ქვეყანა ვალდებულია, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას და, ამასთან, მოქალაქეს კომპენსაცია გადაუხადოს.




ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სტრასბურგი



### სავარჯიშო № 5

გაიხსენეთ ან მოიძიეთ საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჩივილის მაგალითები.


მომდევნო პარაგრაფში ნახავთ, როგორ ახორციელებენ სახელმწიფოები ადამიანის უფლებების დაცვას და რა მექანიზმებს იყენებენ ამისთვის.




## 2. მოქალაქეობა და გლობალური მოქალაქეობა

ამ პარაგრაფის შესწავლის შედეგად თქვენ გაიგებთ:

- როგორ უკავშირდება ერთმანეთს ადამიანის უფლებები და მოქალაქეობა?
- როგორ ვითარდებოდა და რა არის მოქალაქის ცნება?
- როგორი წესებია საქართველოში ამ სფეროში?
- რას ნიშნავს, იყო „გლობალური მოქალაქე“?



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.



**კომპლექსური დავალება**

**მოქალაქეობა და გლობალური მოქალაქეობა**

ამ პარაგრაფის დასრულების შემდეგ შექმენით ვიდეორგოლი/ბროშურა, რომელშიც წარმოადგენთ მოქალაქეობის არსა და მნიშვნელობას.

ვიდეორგოლში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რა არის მოქალაქეობის არსი და მნიშვნელობა, როგორ უკავშირდება მოქალაქის სტატუსი უფლებებსა და მოვალეობებს?
- რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობა? რამდენად არის შესაძლებელი რომ ერთ-დროულად იყო რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს და გლობალური მოქალაქეც? ადგილობრივ დონეზე მოქედებით ცვლილებები მსოფლიოსაც?
- როგორია გლობალური მოქალაქეობის როლი და გავლენა განსხვავებული კულტურების მშვიდობიან თანაცხოვრებაზე? მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების მოგვარებაზე?

**რეკომენდაცია:**

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას გაეცნობით სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში. ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და რვეულში მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომელიც ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

ვიდეოს შექმნისას შეგიძლიათ თავად ჩანდეთ კადრში მთხოვობლის როლში ან ააწყოთ ერთგვარი ანიმაცია და ვიზუალურად გაამდიდროთ სათქმელი.

ვიდეოს შექმნისას შეგიძლიათ გამოიყენოთ საიტი <https://biteable.com/> ან <https://www.kapwing.com/>

მოქალაქეობა ურთიერთობაა ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, როდესაც ინდივიდი თავისი სახელმწიფოს ერთგულია, ხოლო სახელმწიფოს ინდივიდის დაცვის ვალდებულება აქვს.

ქვემოთ ერთად განვიხილოთ, როგორ ვითარდებოდა ისტორიულად მოქალაქეობის იდეა და როგორ რეგულირდება იგი თანამედროვე მსოფლიოში.

## 1. მოქალაქეობის ისტორია

### როგორ იცავს სახელმწიფო ადამიანის ძირეულ უფლებებს?

თქვენ უკვე იცით, რომ სახელმწიფოები მათ შემქმნელ ადამიანთა ჯგუფის (რომელიმე სოციალური ჯგუფის, ერის და ა. შ.) ინტერესების დასაცავად ყალიბდება. იცით ისიც, რომ ცალკეული სახელმწიფოები იცავდნენ არა ყველას (მთელი კაცობრიობების), არამედ მისი ნაწილის ინტერესს. სახელმწიფო ზოგადად აცხადებს, რომ იცავს საკუთარ მოქალაქეებს. როგორ უნდა გაერკვია სახელმწიფოს, თუ ვისი ინტერესები უნდა დაეცვა?

ისტორიულად ადამიანთა აზროვნებას ახასიათებს დაყოფა ორ ოპოზიციურ დაჯგუფებად: „ჩვენ“ და „ისინი“. როგორც წესი, „ჩვენ“ კარგები ვართ, და „მათზე“ უკეთესები.

- ძველ მესოპოტამიაში (აქადი, ბაბილონი) უცხოელებს „ლულუბელებს უწოდებდნენ“ – ისინი რაღაცას გაუგებრად ლულლულებენ „ლუ-ლუ“ და ჩვენ ვერ შეგვედრებიან, აცხადებდნენ შუამდინარეთის მცხოვრები.
- ძველი ბერძნები კაცობრიობას ელინებად (ბერძნებად) და „ჩამორჩენილ“ არაელინებად ყოფდნენ, რომლებიც ადამიანურად (ანუ ბერძნულად) კი არ ლაპარაკობდნენ, არამედ უცნობ ენაზე ამბობდნენ „ბარ-ბარ“ (აქედან – „ბარბარისი“).
  - სლავურ ენებში საკუთარი სახელი – „სლავიანე“ მეტყველს ნიშნავს („სლოვო“ – „სიტყვა“), ხოლო არასლავები მუნჯები / „ნემცები“ იყვნენ („ნემოი“ – „მუნჯი“).
  - ასეთივე კვალია ქართულ ენაშიც. „ჩვენ“ – ქართველები მთის ხალხი ვართ, ხოლო ტყის მცხოვრები „ტყიურები“, ველის მცხოვრები – „ველურები“ არიან, ანუ განვითარების დონით ვერ შეგვედრებიან.



ლულუბელი. ძველი ალმოსავლური ბარელიეფი

ბუნებრივია, საზოგადოების და შესაბამისად, სახელმწიფოების წინაშე გარინდა კითხვა „რა უნდა გავაკეთო, რომ ჩემიანების უფლება დავიცვა?“. სწორედ ამ მიზნით ჩნდება მოქალაქეობის ცნება.

### ქველი მსოფლიო

უძველესი ცივილიზაციების (ძველი შუამდინარეთი, ძველი ეგვიპტე და ა. შ.) არსებობის პერიოდში საზოგადოებას ელიტა (ბელადები, ქურუმები, მთავრები, მეფეები, ფარაონები ...) მართავდა. დანარჩენი მოსახლეობა კი ქვეშევრდომებს, დაქვემდებარებულ უმრავლესობას ქმნიდა. მმართველებსა და ქვეშევრდომებს შორის ერთიანობის აღქმა ნაკლებად შეინიშნებოდა.



### სავარჯიშო № 1

თქვენი აზრით, შეიძლებოდა, ძველ საზოგადოებებში მოქალაქეობის ცნებას ეარსება? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

## ანტიკური ხანა

მოქალაქეობის ცნება ანტიკურ ხანაში ჩნდება. ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელ-მწიფოებში წარმოიშვა ადამიანთა ურთიერთობის ახალი ფორმა – მოქალაქეობა. მოქალაქე ნიშნავდა თავისუფალ ადამიანს, რომელსაც იგივე უფლებები ჰქონდა, რაც იმავე პოლისის სხვა მოქალაქეს. აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, მდიდარი იყავი თუ ღარიბი, თავისუფალ ადამიანთა რომელ ფენას წარმოადგენდი, შენ მონაწილეობდი საკუთარი ქალაქის – პოლიტიკა (“პოლიტიკა”), ირჩევდი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ჩართული იყავი ქალაქისთვის საჭირო საქმიანობის დაგეგმვაში და ა. შ.



დღეს ისტორიკოსთა შორის მიმდინარეობს კამათი, რამ განაპირობა მოქალაქეობის იდეის გაჩენა:

- ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს პიროვნების თავისუფლების დაფასების შედეგად წარმოიშვა – მონისაგან განსხვავებით, მოქალაქეს არჩევანის თავისუფლება ჰქონდა;
- არის მოსაზრება, რომ მოქალაქეობა დაგროვილი სიმდიდრის ქვეყნის მცხოვრებ-თა შორის მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილების სურვილის შედეგად წარმოიშვა. მაგალითად, ათენის სამსრეოთით, ლავრიონის ვერცხლის საბადოებიდან მოპოვებული სიმდიდრის გაყოფის პროცესში ათენელებმა შეიმუშავეს წესი, რომელიც ქალაქის ყველა მცხოვრებს (და არა უცხოელს) თავის წილს არგუნებდა.

მეცნიერებაში ასეთი თეორია ბევრია, თუმცა მიზეზები ჯერაც არ არის დადგენილი.



### სავარჯიშო № 2

თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი წესებიდან რომელიმე მისაღები იქნებოდა თუ არა ჩვენს დროში? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

მოქალაქის სტატუსი გულისხმობდა არა მარტო უფლებებს, არამედ მოვალეობებსაც. მაგალითად:

- თეატრში სიარული სავალდებულო იყო, რადგან თეატრალური წარმოდგენები (კომედიები, ტრაგედიები) ხელოვნებად კი არ ითვლებოდა, არამედ საზოგადოებაზე ზემოქმედების, მოქალაქეთა აღზრდის საშუალებად. ღარიბ მოქალაქეებს ქალაქის ბიუჯეტიდან ფულსაც კი უხდიდნენ, რომ წარმოდგენებს დასწრებოდნენ.
- თუ ქალაქში დაპირისპირება (სამოქალაქო ომი) იწყებოდა, მოქალაქე ვალდებული იყო, საჯაროდ დაეჭირა რომელიმე დაჯგუფების მხარე. იგი ვერ იტყოდა – მე პოლიტიკა არ მაინტერესებს და არც ერთ მხარეს არ ვემხრობიო.



თეატრი ეპიდავროსში, ძვ. წ. IV საუკუნე, საბერძნეთი



### სავარჯიშო № 3


რამდენად მისალებია ბერძნულ პოლისში არსებული მოქალაქეობის ქვე-  
მოთ მოცემული პრინციპები? რა არის აქ მიუღებელი? თქვენი მოსაზრება  
დაასაბუთეთ.

პოლისის ყველა მცხოვრები მოქალაქე არ იყო. მოქალაქე შეიძლებოდა ყოფილიყო  
მხოლოდ ქალაქში მცხოვრები მამაკაცი, რომელსაც საკუთარი ოჯახი ჰყავდა (მო-  
სახლეობის დაახლ. 1/5). ქალები, ბავშვები, სხვა ქალაქების წარმომადგენლები, მონები და  
ის მამაკაცები, რომლებიც მამის სახლში, ერთიან ოჯახად ცხოვრობდნენ, მოქალაქეები არ  
იყვნენ.

### სავარჯიშო № 4

შეადარეთ მოქალაქის უფლებები ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში. თქვენი აზრით, იყო  
თუ არა რომაული მოქალაქეობა უფრო წინგადადგმული ნაბიჯი? პასუხი დაასაბუთეთ.

მოქალაქეობის ცნება უფრო გლობალური გახდა  
მოგვიანებით, რომის იმპერიის არსებობის პერიოდში.  
თუ თავიდან მოქალაქეებად მხოლოდ ქალაქ რომის  
მცხოვრები ითვლებოდნენ, საუკუნეთა განმავლო-  
ბაში ეს სტატუსი მთელ იმპერიაზე გავრცელდა. თუ  
ადამიანი განაცხადებდა: „რომის მოქალაქე ვარ!“ და  
საბუთს წარმოადგენდა, მას, არამოქალაქეებისგან  
განსხვავებით, სასამართლოს გარეშე ვერ დასჯიდნენ,  
იგი არჩევნებში მონაწილეობდა და სახელმწიფოსგან  
მხარდაჭერას იღებდა, რასაც არამოქალაქეები (მონე-  
ბი, იმპერიაში მცხოვრები „ბარბაროსი“ ტომები, უცხოელები) მოკლებულნი იყვნენ.




### გუა საუკუნეები

უფრო მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, მოქალაქის სტატუსმა სხვა დატვირთვა შეიძინა.  
დასავლეთ ევროპაში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილზე (გლეხებზე) პრივილეგირებული  
ფენა (არისტოკრატია) ბატონობდა, ქალაქები „თავისუფლების კუნძულებად“ იქცენ.  
ქალაქებში ჩამოყალიბდა არჩევითი სტრუქტურები და მცხოვრები იღებდნენ მოქალაქის  
სტატუსს (ინგლ. citizen, ფრანგ./გერმ. burger – ქალაქის მცხოვრები, საიდანაც მოდის



შუა საუკუნეების ევროპული ქალაქი,  
კარკასონი, საფრანგეთი.



მოქალაქეები,  
შუა საუკუნეების მინიატურა

*bourgeoisie* – ბურგუნდია). ქალაქში ჩამოსული გლეხი გილდიებისა თუ ამერების წევრი და მოქალაქე ხდებოდა. ის ძველი ბატონის ყმად აღარ ითვლებოდა. „ქალაქის ჰაერი კაცს ათავისუფლებს“ – ამბობს გერმანული ანდაზა. მოქალაქეობა ამ პერიოდში ნიშნავდა ვალდებულებების შესრულებას – თუ მოქალაქე იყავი, გევალებოდა, მონაწილეობა მიგელო შენი ამქრის საქმიანობაში, გებრძოლა ქალაქის დასაცავად და ა. შ.



შუასაუკუნეების ქალაქის ქუჩა, ელზასი



### სავარჯიშო № 5

ისტორიიდან გაიხსენეთ, რით განსხვავდებოდა შუა საუკუნეებში ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა უფლებები. რატომ უწყობდა ქალაქი ხელს მოქალაქეობის ჩამოყალიბებას?

### ახალი ეპოქა

ახალი ეპოქის დასაწყისიდან მოქალაქეობის იდეა ქალაქების ფარგლებს გასცდა და თანდათან საზოგადოების ყველა ფენაზე გავრცელდა. ევროპაში XVII საუკუნიდან მოყოლებული სწორედ ერთიანი უფლებები გახდა რევოლუციიების მთავარი მოთხოვნა.

როგორც უკვე იცით, მსოფლიოში ეს პროცესი ხანგრძლივად, როგორც რევოლუციებით, ისე ევროლუციურად (თანდათანობით) ვითარდებოდა. ეს ერთგვაროვანი და ცალმხრივი პროცესი არ ყოფილა. XIX-XX საუკუნეების განმავლობაში სრულ-უფლებიანი მოქალაქეობის უფლება (პოლიტიკური უფლებები) მიიღო ჯერ ყველა მამაკაცმა (სოციალური კუთვნილების მიუხედავად), შემდეგ – ქალებმა. ამ დროიდან მოქალაქეობა აღარ იყო დაკავშირებული მხოლოდ მოვალეობების შესრულებასთან – შეიძლებოდა მოქალაქე ყოფილიყავი, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა არ მიგელო.

განსაკუთრებით პრობლემური იყო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა და დიდი სახელმწიფოების კოლონიებში მცხოვრებთა მოქალაქეებად აღიარების პროცესი. ცალკეულ კოლონიათა მოსახლეობა (აფრიკელები საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის კოლონიებში, ინდოელები – როცა ინდოეთი ასევე დიდი ბრიტანეთის კოლონიას წარმოადგენდა) დიდხანს იყვნენ მოკლებული მოქალაქეთა უფლებებს და უბრალოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ – ასრულებდნენ კანონით დაკისრებულ მოვალეობებს (იხდიდნენ გადასახადებს და ა. შ.), მაგრამ არ გააჩნდათ პოლიტიკური უფლებები – ვერ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში.

დიდი განსხვავებები იყო ცალკეული ქვეყნის დამოკიდებულებაში მოქალაქეობასთან, რის შედეგადაც ადამიანის ძირითადი უფლებები ხშირად ირღვეოდა:

- აშშ-ში XX საუკუნის 20-იან წლებამდე არსებობდა მოქალაქეობისადმი რასობრივი მიდგომა. 1790 წლის კანონის – „ნატურალიზაციის აქტის“ – თანახმად, მოქალაქე შეიძლებოდა გამხდარიყო „ნებისმიერი თავისუფალი თეთრკანიანი პირი, ვინც აშშ-ის

ტერიტორიაზე, აშშ-ის იურისდიქციის ქვეშ ორი წლის განმავლობაში“ ცხოვრობდა.

- გერმანიაში XX საუკუნის 30-იან წლებში ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნაციონალ-სოციალისტებმა მოქალაქეობა რასობრივ პრინციპს დაუქვემდებარეს. მოქალაქე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ „არიული რასის“ ნარმომადგენელი გერმანელი. „არა-არიელები“ (პირველ რიგში, გერმანელი ებრაელები) „დაბალი რასის“ ნარმომადგენლებად გამოცხადდნენ და ე. წ. „ნიურნბერგის კანონებით“ მოქალაქის უფლება დაკარგეს;
- საბჭოთა კავშირში ასევე არსებობდა შეზღუდვები, ოლონდ არა რასობრივი, არამედ სოციალური ნიშით. საბჭოთა რუსეთის 1918 კონსტიტუციამ მოქალაქეობა მიანიჭა არა მარტო ყოფილი რუსეთის იმპერიის მცხოვრებლებს, არამედ რუსეთში მცხოვრებ ყველა უცხოელს იმ შემთხვევაში, თუ ის „მშრომელ კლასს“ ეკუთვნოდა. პოლიტიკური უფლებები არ დაუტოვეს „კლასობრივი მტრების“ ნარმომადგენლებს (თავად-აზნაურების, ვაჭრების, მდიდარი გლეხების – „კულაკების“, სასულიერო წოდების ნარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებს). ეს შეზღუდვები მრავალ წელს გაგრძელდა და მხოლოდ მაშინ გაუქმდა, როცა საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური განმარტებით „ყველა კლასობრივი მტრერი განადგურდა“ (საბჭოთა კავშირის 1937 წლის კონსტიტუციაში ასეთი „მტრების“ ხსენება აღარ ხდება).



## სავარჯიშო № 6

გამოჰკითხეთ თქვენ გარშემო მყოფი უფროსი თაობის ნრმომადგენლებს, სახელმწიფოს მიერ დაწესებული რა სახის შეზღუდვები (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური) ახსოვთ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდიდან. გაკვეთილზე განიხილეთ შეგროვებული ინფორმაცია.

განსხვავებით ტოტალიტარული ქვეყნებისაგან, დემოკრატიული სამყარო ცდილობს, მოაგვაროს ასეთი სახის პრობლემები. მაგალითად, აშშ-ში დიდი ხნის მანძილზე (და ხშირად მეტად მტკიცნეულად) მიმდინარეობდა ადამიანის უნივერსალური, საყოველთაო უფლებების დამკვიდრების პროცესი:

- აფროამერიკელებმა ფორმალურად მოქალაქეობის სრული უფლება 1868 წლის 9 ივნისს მიიღეს (აშშ-ში სამოქალაქო ომისა და მონობის გაუქმების შემდეგ);
- 1924 წელს აფროამერიკელებს უფლებრივად გაუთანაბრდა ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა, ასევე „აზიელები“ (ძირითადად ჩინელი ემიგრანტები, რომლებიც აშშ-ში სახლდებოდნენ);



- 1952 წლიდან მოქალაქეობის უფლება ყველა ეთნიკურ თუ რასობრივ ჯგუფზე გავრცელდა. ამავე დროს აშშ-ში შენარჩუნდა იმი-გრანტებისათვის მოქალაქეობის მინიჭების კვოტები (განსაზღვრულია, აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის ან ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულმა მაქსიმუმ რამდენმა ემიგრანტმა შეიძლება მიიღოს მოქალაქეობა).



## 2. მოქალაქეობის საკითხი დღევანდელ მსოფლიოში

### როგორია მოქალაქეობისადმი დამოკიდებულება დღევანდელ მსოფლიოში?

მოქალაქეობის ინსტიტუტი ზემოთ განხილული ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. რა თემა უნდა, ადამიანის უფლებები მსოფლიოს ნებისმიერ მცხოვრებზე ვრცელდება, მაგრამ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს აქვთ ისეთი უფლებები, როგორიც მხოლოდ ნაწილობრივ გააჩნიათ არამოქალაქეებს. მაგალითად:

- პოლიტიკური უფლებები – მათ შორის, ხმის მიცემისა და საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება.
- სოციალურ-ეკონომიკური უფლებები – მათ შორის, პენსია, სოციალური და სხვა სახის დაზღვევა, საზღვარგარეთ მისი ინტერესების დაცვა და ა. შ.



### სავარჯიშო № 7

**გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები.**

თქვენ უკვე იცით, რომ სხვადასხვა ქვეყანას ამ მხრივ განსხვავებული მიდგომები და ისტორია აქვს. უნდა ვიცოდეთ, რომ ასევე არ არსებობს ერთიანი მიდგომა თეორიისა და პრინციპების დონეზეც. ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი თემა:

1. რა უფლებებს ანიჭებს ინდივიდს მოქალაქედ ყოფნა;
2. როგორ ხდება მოქალაქეობის მინიჭება.

**უფლებების საკითხში ზოგადად კონსენსუსია მიღწეული.** თქვენ იცით, რომ მოქალაქეს აქვს სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები.

მოქალაქის **მოვალეობების / ვალდებულებების** საკითხისადმი ერთიანი ხედვა არ არსებობს. სხვადასხვა ხედვას შორის პრინციპული განსხვავებები არ არის, მაგრამ განსხვავებულია მიდგომა იდეოლოგიათა თვალსაზრისით.

ყველა ხედვა (სხვადასხვა ხარისხით) მიიჩნევს, რომ მოქალაქეები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქის ვალდებულებების შესასრულებლად. თუმცა, როგორც წესი, კანონი არ აიძულებს მოქალაქეებს – აუცილებლად მონაწილეობდნენ მოქალაქის ყველა უფლების რეალიზაციის პროცესში.

რაც შეეხება **მოქალაქეობის მინიჭების** წესს, ყველა ქვეყანა თავად განსაზღვრავს, რა გზით ხდება ადამიანი ამ ქვეყნის მოქალაქე. მიუხედავად დიდი განსხვავებებისა, არსებობს რამდენიმე ძირითადი პრინციპი.



## სავარჯიშო № 8

ცალ-ცალკე განიხილეთ ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქეობის მინიჭების თითოეული წესი. თქვენი აზრით, რა არის თითოეული ამ ფორმის ღირსებები და ნაკლოვანებები?

- მოქალაქეობა **დაბადებით** – ნიშნავს, რომ შესაბამისი ქვეყნის მოქალაქე ხდები, თუ ამ ქვეყანაში ხარ დაბადებული (მაგალითად, თუ თქვენ გერმანიაში ან საფრანგეთში დაიბადეთ, ამ ქვეყნის მოქალაქედ ითვლებით). უპირობოდ ასეთი მიღვომა ძირითადად გავრცელებულია ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში კი გარკვეული წინაპირობები და მოთხოვნები არსებობს.  
საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაბადებით მოქალაქეობას იღებს პირი, რომლის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მშობელი მაინც საქართველოს მოქალაქეა, ასევე პირი, რომელიც საქართველოში დაიბადა, თუმცა მის მშობლებს არ გააჩნიათ მოქალაქეობის სტატუსი.
- **ოჯახის მიხედვით** მოქალაქეობა – დამოკიდებულია იმაზე, რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან თქვენი მშობლები (მაგალითად, თუ თქვენი მშობლები საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ და თქვენ მექსიკაში ან იაპონიაში დაიბადეთ, საქართველო თავის მოქალაქედ გაღიარებთ). ზოგიერთი ქვეყნის (გერმანია, შვეიცარია) კანონმდებლობა ამავე დროს ითხოვს, რომ უცხოეთში დაბადებული ბავშვის მშობლებმა გარკვეული დროის მანძილზე შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ საკუთარი სახელმწიფოს წარმომადგენლობას – საელჩოს/საკონსულოს, ზოგი ქვეყანა (საფრანგეთი, იტალია) ამას არ ითხოვს;
- მოქალაქეობა **ქორწინებით** – თუ თქვენ სხვა ქვეყნის მოქალაქეზე დაქორწინდით (მაგალითად, თუ თქვენი მეუღლე შვედი ან ბრაზილიელია), შეგიძლიათ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოთ. ზოგიერთი სახელმწიფო ითხოვს, რომ მოქალაქეობის მომთხოვნი პირი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდეს ამ ქვეყანაში, ასევე იცნობდეს ქვეყნის კანონმდებლობას და კულტურას და იცოდეს ამ ქვეყნის ენა;
- მოქალაქეობა **ნატურალიზაციით** – თუ თქვენ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობთ რომელიმე ქვეყანაში, იცით ამ ქვეყნის კანონები და ენა (მაგალითად, თუ თქვენ დაიბადეთ საქართველოში ან ინდოეთში, მაგრამ დიდი ხანია, ცხოვრობთ აშშ-ში და აკმაყოფილებთ ამერიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, დადგება ამერიკის მოქალაქედ თქვენი ცნობის საკითხი). ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა ითხოვს მოქალაქეობის მიღების მსურველის მიერ ტესტის ჩაბარებას, ასევე მორალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებას (მაგალითად, პრეტენდენტი არ უნდა იყოს მიღრეკილი ალკოჰოლიზმის ან აზარტული თამაშებისაკენ);
- მოქალაქეობა **ინვესტიციით** – სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს წესი, რომ თუ თქვენ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელეთ ამ ქვეყანაში, შეიძლება, ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოთ (მაგალითად, შვეიცარიაში დააბანდეთ დიდი თანხა, ან გადაიხადეთ ბიუჯეტში, თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ ნეპალის ან საქართველოს მოქალაქე ხართ, შეგიძლიათ შვეიცარიის მოქალაქე გახდეთ). სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ეს თანხა 100 ათ. დოლარიდან 2,5 მილიონ ევრომდე მერყეობს;
- მოქალაქეობის მინიჭება **განსაკუთრებულ შემთხვევებში** – შეიძლება მიიღოთ რომელიმე ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის (მაგალითად, თუ თქვენ დიდი სამსახური გაუნიერ საფრანგეთს, საფრანგეთის პრეზიდენტს შეუძლია მოგანიჭოთ საფრანგეთის მოქალაქეობა).

გარდა ამისა, ქვეყნები განსხვავდება იმის მიხედვითაც, თუ რამდენი ქვეყნის მოქალაქე შეიძლება იყოთ ერთდროულად. ზოგი ქვეყანა მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქეობას აღიარებს, ხოლო თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღეთ, წინა მოქალაქეობა გაუქმდება. ზოგ ქვეყანაში პირი ით, ორმაგი მოქალაქეობა არსებობს (მაგალითად, შეიძლება ერთდროულად იყოთ ინდოეთისა და ბრაზილიის მოქალაქე).

ქვეყნების კანონმდებლობა განსხვავდება ერთმანეთისგან, ქვეყნის ისტორიიდან, კულტურიდან და ტრადიციიდან გამომდინარე. მაგალითად:

- ისრაელში მოქალაქეობას დაბადების ადგილისა და წარმოშობის მიხედვით ანიჭებენ. ტრადიციულად ებრაელად ითვლება ადამიანი, რომელსაც მშობლები (დედა აუცილებლად) ებრაელი ჰყავს.
- ზოგი ისლამური ქვეყანა თითქმის არ ანიჭებს მოქალაქეობას უცხოელს. მაგალითად, ყაფარში შეიძლება ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის მოქალაქეობა მიიღოს უცხოელმა (ცონბილი სპორტსმენი და ა. შ.), მაგრამ მან აუცილებლად უნდა აღიაროს ისლამი.

ზემოთ დასახელებული ქვეყნები მაგალითის სახითაა მოცემული. ყველა ქვეყანას აქვს თავისი წესი და როცა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რა წესი მოქმედებს ამ ქვეყანაში.

როგორც ითქვა, ყველა ქვეყანა ან ქვეყანათა გაერთიანება თავად ანესებს მოქალაქედ აღიარების სხვა, დამატებით ნორმებსაც. მაგალითად:

- თუ თქვენ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე ხართ, ავტომატურად ითვლებით ევროკავშირის მოქალაქედ;
- თუ თქვენ ბრიტანული თანამეგობრობის წევრი ქვეყნის (ავსტრალიის, კანადის და ა. შ.), ასევე ირლანდიის მოქალაქე ხართ, გაერთიანებულ სამეფოში სხვა უცხოელებთან შედარებით გარკვეული პრივილეგიები გექნებათ. ეს ეხება სავიზო რეჟიმს, მუშაობის უფლებას და სხვ.;
- გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკური უფლებების ნაწილი აქვთ გერმანიის მოქალაქეობის არმქონე პირებსაც. თუ თქვენ უცხო ქვეყნის მოქალაქე ხართ, ბუნებრივია, ვერ მიიღებთ მონანილეობას გერმანიის პარლამენტის – ბუნდესტაგის არჩევნებში, მაგრამ გაქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონანილეობის უფლება. ეს იმ ხედვის შედეგია, რომ უცხოელიც და გერმანელიც ერთნაირად სარგებლობენ მუნიციპალური ტრანსპორტით, წყალმომარაგებითა და სხვა მომსახურებით, ერთნაირად ვალდებული არიან, დაიცვან ცხოვრების ნორმები (გა-



დაიხადონ კომუნალური გადასახადი, არ დაანაგვიანონ ქუჩები და ა.შ.). შესაბამისად, თქვენ გაქვთ როგორც უფლებები, ისე ვალდებულებები საცხოვრებელი გარემოს წინაშე და უნდა მონაწილეობდეთ ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებაში;

- ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთო-ეროვნული მოქალაქეობის გარდა არსებობს სუბნაციონალური (ქვეეროვნული) მოქალაქეობაც შტატების დონეზე. თუ თქვენ აშშ-ის მოქალაქე ხართ, ამავდროულად რომელიმე შტატის (კალიფორნია, ტექსასი, ნიუ-იორკი და ა.შ.) მოქალაქეც ხართ. ცალკეულ შტატს შეუძლია თავისი მოქალაქეებისათვის შემოიღოს მოქალაქეობის დამატებითი უფლებები და მოვალეობები, თუმცა ეს ვალდებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ფედერალურ/საერთო-ეროვნულ წესებს და ამასთან, ეროვნული კანონმდებლობის ნორმები სრულად უნდა იყოს დაცული. ასეთი უფლებები აქვს არა მარტო ამერიკის ცალკეულ შტატს, არამედ ცალკეულ, უფრო მცირე ტერიტორიებსაც. მაგალითად გამოდგება ამერიკის ძირძველი მოსახლეობის, „ინდიელების“ რეზერვაციები, სადაც მოქმედებს ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული კანონმდებლობა, რომელსაც აშშ-ის საერთო-ეროვნული კანონმდებლობა აღიარებს და პატივს სცემს;
- ფინეთის ერთ-ერთ რეგიონს, ალანდის კუნძულებს, სადაც ძირითადად შვედური უმცირესობა ცხოვრობს, მოქალაქეობის განსაკუთრებული სტატუსი აქვს, რაც მის მცხოვრებთა როგორც ფინეთთან, ისე შვედეთთან მარტივ ურთიერთობას უზრუნველყოს.

როგორც წესი, სახელმწიფოს მოქალაქეობა ნაციონალობის იდენტურია. მაგალითად, მიუხედავად თქვენი ეთნოკური წარმომავლობისა და იმისა, რომელი ქვეყნიდან ხართ წარმოშობით, თუ საფრანგეთის მოქალაქე ხართ, ითვლებით ფრანგად.



- საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში ერთ საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. გაირკვა, რომ ზედა სართულზე პატარა ბავშვი იყო დარჩენილი, რომელსაც სიკვდილი ემუქრებოდა. სანამ სახანძრო მოვიდოდა, ქუჩაში შეკრებილ ადამიანებს ერთი აფრიკელი ახალგაზრდა გამოეყო. მან, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, გარედან, აივნიდან აივანზე გადახტომით მიაღწია ცეცხლმოკიდებულ ბინამდე და ბავშვთან ერთად მოახერხა დაბრუნება. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ახალგაზრდა არალეგალურად იმყოფებოდა საფრანგეთში და მაინც ბავშვის გადასარჩენად არც საკუთარი თავის გამულავნებას შეუშინდა და არც ქვეყნიდან გასახლებას. ამ ფაქტმა ფრანგულ საზოგადოებაში შეანელა ნეგატიური განწყობა აფრიკელი არალეგალური ემიგრანტების მიმართ, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტმა ახალგაზრდას მადლობა საჯაროდ გადაუხადა და მისთვის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურების დაჩქარების პირობა დადო.

### 3. მოქალაქეობა საქართველოში

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მოქალაქეობის საკითხი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება. თქვენ იცით, რომ კანონები იერარქია არსებობს. უმთავრესი კანონია საქართველოს კონსტიტუცია, შემდეგ კანონები (საქართველოს ორგანული კანონები და საქართველოს კანონები). ამას გარდა, არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა შესრულების ვალდებულებაც საქართველომ აიღო (მოახდინა რატიფიკაცია). საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე საქართველოს ორგანული და ჩვეულებრივი კანონები. თუ ქვემდგომი კანონი არ შეესაბამება იერარქიულად ზემდგომს, იერარქიულად უფრო დაბლა მდგომი კანონი უნდა შეიცვალოს.

1. საქართველოში მოქალაქეობის პრინციპები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით.

2. ამას გარდა, საქართველო შეერთებულია ორ საერთაშორისო ხელშეკრულებას – კონვენციას. ესენია:

- კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ (მიღებულია 1954 წელს);
- კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ (მიღებულია 1961 წელს).



ამ კონვენციების თანახმად განსაზღვრულია მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები და მოვალეობები იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ, რეგულირდება მათი ცხოვრებისა და საქმიანობის პირობები, სახელმწიფოს წინაშე ამ პირების მოვალეობები. ასევე რეგულირდება მათთვის მოქალაქეობის მინიჭების გზით არამქალაქეთა ოდენობის შემცირების წესი. კონვენციების შესრულება სავალდებულოა მისი ხელმომწერი ქვეყნისათვის.

ამავე დროს, ყველა ქვეყანას ასეთ პირთა უფლებების განსაზღვრისთვის საკუთარი კანონმდებლობაც აქვს. მაგალითისათვის, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე არის პირი, რომელსაც არც ერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მოქალაქეობასთან დაკავშირებით ცალკეულ დეტალებს არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.



#### სავარჯიშო № 9

იმსჯელეთ:

1. რატომ უნდა არეგულირებდეს საქართველოს მოქალაქეობის პრინციპებს საერთაშორისო შეთანხმებები? ხომ არ ლახავს ეს ნებისმიერი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სუვერენიტეტს?
2. რატომ არ რეგულირდება მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები ყველა ქვეყანაში ერთიანი საერთაშორისო კანონით/კანონებით?

ახლა, განვიხილოთ, როგორ წყვეტს საქართველო მოქალაქეობის საკითხს.

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე და 33-ე მუხლები აყალიბებს უმთავრეს პრინციპებს.



#### სავარჯიშო № 10

გაეცანით 32-ე მუხლის პუნქტებს და იმსჯელეთ, მოვალეა თუ არა საქარ-

თველოს ხელისუფლება, დაიცვას თავისი მოქალაქე, თუ მისი უფლება შეიღახა არა საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ და მას დახმარება სჭირდება? რა ვითარება შეიძლება შეიქმნას ასეთ დროს?

იმავე პრინციპით განიხილეთ დანარჩენი პუნქტებიც.

### მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველო მთარველობს თავის მოქალაქეს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა.
2. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი (იგულისხმება მოქალაქეობაზე უარის თქმის პროცედურა)... განისაზღვრება ორგანული კანონით.
3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
4. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.
5. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა ...



### სავარჯიშო № 11

გაეცანით 33-ე მუხლის პუნქტებს და იმსჯელეთ მათზე.

მაგალითად, პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ არამოქალაქეებს არ გააჩნიათ იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც საქართველოს მოქალაქეებს. რა სახის უფლებებსა და მოვალეობებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? იმავე პრინციპით განიხილეთ დანარჩენი პუნქტებიც.

### მუხლი 33. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები

1. საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. სახელმწიფო უფლებამოსილია, კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პილიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.
3. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
4. დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ...



საქართველოში სხვადასხვა პერიოდში შემოდიოდნენ და შემოდიან თავშესაფრის მაძიებლები უცხოეთიდან:

- 1999 წელს აღინიშნა პირველი მნიშვნელოვანი ტალღა – ჩეჩენეთის მეორე ომის პერიოდში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩენეთის დასახლებული პუნქტების განადგურება დაიწყო, ჩეჩენი მოსახლეობის ნაწილმა საქართველოს შეაფარა თავი;
- 2012 წელს საქართველოში შემოვიდა ლტოლვილთა ნაკადი (*ძირითადად ბავშვები*) სირიიდან, სადაც უმძიმესი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა;
- 2022 წლის თებერვლიდან აღინიშნება თავშესაფრის მაძიებელთა დიდი ტალღის შემოსვლა უკრაინიდან რუსეთ-უკრაინის ომის გამო, ასევე რუსეთის მოქალაქეების დიდი ოდენობით შემოსვლა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება არის საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება (მუხლი 52).

#### საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის თანახმად:

- საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ნებისმიერი სხვა ნიშნისა.
- საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.
- საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები, მისი ტერიტორიული მთლიანობა და იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგული.
- საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ფარგლების გარეთ იცავს საქართველო.

კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა ენიჭება: а) დაბადებით; ბ) ნატურალიზაციით (საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოქალაქეობის მინიჭებით).



#### სავარჯიშო № 12

განიხილეთ მოქალაქეობის მიღების მსურველთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

თქვენი აზრით, სწორია თუ არა საქართველოს კანონმდებლობით უცხოელთათვის მოქალაქეობის მინიჭებისას არსებული შეზღუდვები? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

თქვენ რომ კანონმდებელი იყოთ, რამეს ხომ დაამატებდით ან ხომ არ შეამცირებდით ამ ჩამონათვალს?

მოქალაქეობის მიღების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს (ყველას ან რამდენიმეს. თუ რომელს, კონკრეტულად განისაზღვრება კანონით):

- უწყვეტად უნდა ცხოვრობს საქართველოში განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 10 წლის განმავლობაში;
- დადგენილ ფარგლებში უნდა ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას;
- უნდა იცოდეს საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;
- საქართველოში უნდა ჰქონდეს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას;
- თუ არასრულწლოვანია და მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;
- თუ დაქორწინებულია საქართველოს მოქალაქეზე.
- თუ თავისი სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივი საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლებითაც დაინტერესებულია საქართველო, ან საქართველოში განახორციელა ისეთი ინვესტიცია, რომლითაც სახელმწიფოს განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა;
- თუ მოქალაქეობა ადრე ჩამოერთვა უკანონოდ ან მისი მშობლის არჩევანის შედეგად.



პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას იღებს, ვალდებულია, ქართულ ენაზე დადოს და ხელმოწერით დაადასტუროს საქართველოს ერთგულების ფიცი:

„მე, (სახელი, გვარი), ვხდები საქართველოს მოქალაქე და ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს, დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა სხვა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა; საქართველოს სახელმწიფო ენად ვაღიარებ ქართულს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურს; ვალდებულებას ვიღებ, პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს.“.

ამავე დროს, ვერავინ ვერ მოიპოვებს საქართველოს მოქალაქის უფლებას, თუ:

- ჩადენილი აქვს საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;
- მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადამიანის, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში;
- საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება;
- იძებნება სამართალდამცავი ორგანოების (მათ შორის ინტერპოლის) მიერ;

კანონი ასევე განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც მოქალაქეს უწყდება მოქალაქეობა:

- თუ პირი საქართველოს ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო, პოლიციის ან უშიშროების სამსახურში;

- თუ ყალბი დოკუმენტებით ეცდება საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებას;
- თუ დამატებით მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობასაც ისე, რომ აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებამდე საქართველოს სახელმწიფოსგან არ მიიღებს თანხმობას საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებაზე.



### სავარჯიშო № 13

- გაეცანით იუსტიციის სახლის საიტზე ([https://psh.gov.ge/main/all\\_services/1/69](https://psh.gov.ge/main/all_services/1/69)) განთავსებულ ინფორმაციას.
- შეარჩიეთ საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული თქვენთვის საინტერესო საკითხი (გამარტივებული პროცედურები, ორმაგი მოქალაქეობა, მოქალაქეობის შენ-ყვეტა და ა. შ.).
- თანაკლასელებს გააცანით საკითხთან დაკავშირებული პროცედურები.

## 4. გლობალური მოქალაქეობა

### გლობალური მოქალაქეობის არსი

დღეს, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე სა-ქართველოში, განსაკუთრებით აქტუალურია გლობალური მოქალაქეობის საკითხი.

ზოგი გლობალური მოქალაქეობის იდეას პოზიტიურად აფასებს, ზოგი – ნეგატიურად.

დისკუსია ამ თემაზე დიდი ხანია მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში, და მათ შორის სა-ქართველოშიც.

გაეცანით ვაჟა-ფშაველას სტატიას, რომელიც 1905 წელს არის დაწერილი (<http://www.amsi.ge/istoria/div/kosmopolitizmi.html>).



### კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

(ამონარიდი)

ვაჟა-ფშაველა

ზოგს ჰეროინა, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოს-მოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას



საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრძევე ცალკე ერების აღზრდა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...



### სავარჯიშო № 14

**როგორ გესმით ფრაზა: „ყოველმა ერმა ... საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში“?**

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალით, თანამომეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკებება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამომეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლშვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც პპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკებება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკებება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

... განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპერ დღევანდელი ეკონომიური უკულმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.



### სავარჯიშო № 15

- ეთანხმებით ვაჟას სიტყვებს, რომ „გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, ხოლო მის ნაწარმოებს არა“? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
- როგორ ფიქრობთ, თუ ყველა ქვეყანა ყოველმხრივ განვითარდება, მოისპობა დაპირისპირება მათ შორის? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

... ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...



### სავარჯიშო № 16

**ეთანხმებით ვაჟას სიტყვებს, რომ არ არსებობს ნორმალური ადამიანი „რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე“? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.**


პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონინავე ერებს ...



### სავარჯიშო № 17


**თქვენი სიტყვებით, ორ-სამ თეზისად ჩამოაყალიბეთ ვაჟა-ფშაველას სათქმელი.**



გლობალური მოქალაქეების დღევანდელი გაგება ზუსტად იმავე მსოფლმხედველობას იზიარებს, რომელზედაც ვაჟა-ფშაველა საუკუნეზე მეტი ხნის წინ ლაპარაკობდა: იყო მსოფლიოს მოქალაქე – იურიდიული სტატუსი კი არ არის (მაგალითად, რამე „მსოფლიო პასპორტის“ ფლობა), არამედ ადამიანთა დამოკიდებულებაა ჩვენი პლანეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე პროცესების მიმართ. როცა ადამიანები კაცობრიობის წევრებად მოიაზრებენ თავს, ისინი აქტიურად მონაწილეობენ საკუთარი საზოგადოების ცხოვრებაში, რათა ჩვენი პლანეტა უფრო მშვიდობიანი, მდგრადი და სამართლიანი გახდეს. ასეთ ადამიანებს მთელი მსოფლიოს წინაშე აქვთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და არა მხოლოდ თავიანთი ადგილობრივი თემების ან ქვეყნების წინაშე.

ამრიგად გლობალური მოქალაქეობის იდეა არ უპირისპირდება ეთნიკურ იდენტობას და კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეობას.

კაცობრიობის წევრად საკუთარი თავის მოაზრებას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება ორ ჯგუფში გაერთიანდეს. ესენია ჰუმანური (ემოციური) და პრაგმატული მიდგომები.



- ემოციური მიდგომა ნიშნავს, რომ ადამიანები საკუთარი ემოციებისა და ჰუმანურობის პრინციპების შესაბამისად მოქმედებენ. ჰუმანურობა არის ღირებულებათა კომპლექსი, რომლის ცენტრშიც დგას ადამიანი, მისდამი პატივისცემა და მისი საჭიროებების მიმართ ყურადღება. მაგალითად, როცა სუსტი და უმწეო ადამიანის დაჩაგვრის მონმე ვხდებით, ადამიანთა აბსოლუტურ უმეტესობას თანაგრძნობა გვიჩნდება დაჩაგრულის მიმართ. შეიძლება აქტიურად ჩავერიოთ, უბრალოდ უკავილებება გამოვთქვათ ან საერთოდ არაფერი არ მოვიმოქმედოთ, მაგრამ შინაგანად ყველა შემთხვევაში ვგრძნობთ, რომ შეშფოთებული ვართ. თანაგრძნობა მხოლოდ ადამიანებს კი არ ახასიათებს, ცხოველთა სამყაროშიც გვხვდება. ის ადამიანი, რომელიც, სიამოვნებას იღებს სხვისი ტანჯვის შემყურე, დაავადებულად (ფსიქოპათად, სოციოპათად) ითვლება.



### სავარჯიშო № 18

ვაჟა-ფშაველას სტატიაში არის აზრი, რომ „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა.“

დაფიქრდით და იმსჯელეთ, შეიძლება თუ არა გლობალური საკითხების გადაწყვეტისას არსებობდეს ემოციური მომენტიც? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

- პრაგმატული მიდგომა საკუთარი ინტერესების დაცვის სურვილიდან გამომდინარეობს. ამ დროს ადამიანები იაზრებენ, რომ არსებობს პრობლემები, რომლებსაც ადამიანთა ცალკეული ჯგუფები ან სახელმწიფოები ვერ დაძლევენ. მაგალითად, როგორც არ უნდა ვეცადოთ, შეუძლებელია, გლობალური დათბობა ერთმა ქვეყანამ შეაჩეროს, ერთმა ქვეყანამ შეაკავოს საერთაშორისო დანაშაული მაშინ, როცა სხვა ქვეყნები არაფერს აკეთებენ ამისათვის. ეს საერთო პრობლემებია, რომელთა მიმართ უყურადღებობაც თითოეულ კონკრეტულ ქვეყანას ძვირი დაუჯდება.

ისტორიიდან ვიცით, რომ დავით აღმაშენებელი ხშირად დადიოდა მეჩეთებში, ესაუბრებოდა მუსლიმ ღვთისმეტყველებს, კარგად იცნობდა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ისლამს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი ცუდი ქრისტიანი იყო ან ქრისტიანობას უპირისპირდებოდა.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში, ქრისტიანულ საქართველოში მუსლიმები 3 დინარს (ოქროს მონეტა) იხდიდნენ, ხოლო ქრისტიანები 5 დინარს. საპირისპირო სურათს ვხედავთ იმ ეპოქის მუსლიმურ ეგვიპტეში,


დავით IV აღმაშენებელი,  
გელათის მონასტრის ფრესკა



სადაც ქვეყნის მმართველი ქურთული დინასტია (რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო სალადინი) ქრისტიანებისგან 3 დინარს იღებდა, ხოლო მუსლიმებისაგან – 5 დინარს. ეს პრაგმატული მოსაზრებით იყო განპირობებული. მუსლიმურ ქვეყნებში ვაჭართა დიდი ნაწილი



სულთანი სალადინი,  
XVI საუკუნის ფრანგული გრავიურა



თამარ მეფე, ფრესკა, ვარძია

ქრისტიანი და ებრაელი იყო, ხოლო ქრისტიანულ ქვეყნებში – მუსლიმი და ებრაელი. სწორედ ეკონომიკური განვითარების ინტერესები განაპირობებდა ქვეყნების ასეთ პოლიტიკას.



### საპარჯიშო № 19

- გამოყავით საკითხები, რომელიც მთელ კაცობრიობას ეხება და რომელთა მოგვარებასაც ცალკე ადამიანი ან სახელმწიფო ვერ შეძლებს და ამისათვის მთელი კაცობრიობის ძალისხმევაა საჭირო.
- გაიხსენეთ მაგალითები ისტორიიდან და თანამედროვეობიდან, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა გაერთიანდა, რათა მოეგვარებინა საერთო პრობლემა.

<b>1</b> სამ სახალისე	<b>2</b> სამ მიმდინარე	<b>3</b> ჯარიმისა და მომდევნობა	<b>4</b> სარისახე გათლება	<b>5</b> მარინაცია თანამდებობა	<b>6</b> კონკურენცია
<b>7</b> ცალკეული და საკრიტიკო კინემა	<b>8</b> დასაცავ სამართ ეკონომიკის გენერაცია	<b>9</b> მარინაცია თანამდებობა	<b>10</b> კვირისებური თანამდებობა	<b>11</b> კულტურული და სამსახურული კინემა	<b>12</b> მორიგეონი ტექნიკური კინემა
<b>13</b> კულტურული მუნიციპალიტეტები	<b>14</b> კულტურული მუნიციპალიტეტები	<b>15</b> ფინანსური ეკონომიკური კინემა	<b>16</b> კულტურული მუნიციპალიტეტები	<b>17</b> კულტურული მუნიციპალიტეტები	

ისეთი პროგრამები, როგორებიცაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (მსოფლიოში განათლებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა, საარსებო გარემოს გაუმჯობესება, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და ა. შ.) დღევანდელ მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია.

ძალიან კარგი, შეიძლება თქვათ თქვენ – დაე, ერთად ვითიქროთ მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრაზე, ამავე დროს ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე, რომ იგი აყვავებული, მდიდარი და ბელნიერი იყოს. მაგრამ რეალური სიტუაცია განსხვავება სასურველისაგან.

ისტორიის მანძილზე ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებს, ერებს, რელიგიებს შორის ამ საკითხზე მუდამ არსებობდა დაპირისპირება.




## სავარჯიშო № 20

შეაფასეთ ამერიკელი სპორტსმენის პოზიცია. თქვენი აზრით, მართალი იყო თუ არა იგი? თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.

აშშ-ში მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ გააპროტესტა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ოლიოტიკა ვიეტნამში და უარი განაცხადა სამხედრო სამსახურზე. იგი აცხადებდა, რომ მსოფლიოში ყველა ომი სამოქალაქო ომია, რადგან ყველა ადამიანი და-ძმა: „სინდისი არ მაძლევს ნებას, რომ ჩემს ძმას ვესროლო ... რისთვის ვესროლო? ისინი არასოდეს მექანიზმი „ზანგს“, არასოდეს არ მისევდნენ ძალებს. რისთვის ვესროლო? ისინი ღარიბი ხალხია ... ბავშვები, ქალები ... უბრალოდ ჩამსვით ციხეში.“

ამერიკელთა დიდმა ნაწილმა მაშინ დაგმო ალის საქციელი, თუმცა მრავალი წლის შემდეგ აღიარეს, რომ იგი მართალი იყო: „ვთიქ-რობ, ჩვენ ვცდებოდით“, თქვა რობერტ მაკნამარამ, რომელიც ომის პერიოდში აშშ-ის თავდაცვის მდივანი იყო.



ქართულ ლიტერატურაში ბევრია ისეთი ნაწარმოები, რომლებიც ამ საკითხებს ეხება. კარგად იცით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილ სამყაროში ვხედავთ განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების წარმომადგენელთა ურთიერთობას, რასაც კონფლიქტებიც მოსდევს და თანამშრომლობაც. ასევე შეიძლება გავიხსნოთ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, სადაც მთავარი გმირები უცხო გარემოს წარმომადგენლებს ისეთივე უფლებების მქონედ მიიჩნევენ. ამას მოსდევს კონფლიქტი კონსერვატიულად განწყობილ თემსა და მთავარ გმირს შორის.

არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ცხოვრება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული იდეალების სამსახური. სამღვდელოების ახალგაზრდა წარმომადგენელი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის, კათალიკოს-პატრიარქის ამბობის ხელაიასა და მწერალ არტურ ლაისტის დახმარებით ბერლინში გაგზავნეს სასწავლებლად. 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი იძულებული გახდა, საზღვარგარეთ

დარჩენილიყო და მოღვაწეობა ბერლინის, ოქსფორდისა და ბონის უნივერსიტეტებში გაეგრძელებინა. 1931 წელს გრიგოლ ფერაძე ლონდონში ბერად აღიკვეცა, შემდეგ საფრანგეთში, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში გააგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა და ამავე დროს ექვთიმე თაყაიშვილს ეხმარებოდა უცხოეთში გატანილი საქართველოს ეროვნული საგანძურის დაცვაში.

გრიგოლ ფერაძე არც ერთი ქვეყნის მოქალაქე არ გამხდარა, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც გამოჩენილ მეცნიერს, ევროპული სამეცნიერო ცენტრები დიდ პატივს სცემდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ არქიმანდრიტი გრიგოლი პოლონეთში მაღავდა გერმანელი ნაცისტებისაგან დევნილ ადამიანებს, განსაკუთრებით ებრაელებს. შედეგად იგი დააპატიმრეს და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. 1942 წელს მან მრავალშვილიანი ებრაელი მამაკაცის გადასარჩენად თავის თავზე აიღო ნაცისტების მიერ ებრაელისათვის წამოყენებული ბრალდება და მის ნაცვლად შევიდა გაზის კამერაში, სადაც დაასრულა თავისი სიცოცხლე.

1995 წელს საქართველოს ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა, ხოლო 2013 წელს ქართულმა სახელმწიფომ მას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.



წმინდა მღვდელმოწამე  
გრიგოლ ფერაძე  
(1899 – 1942),  
არქიმანდრიტი, ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ეროვნული  
გმირი



## სავარჯიშო № 21

იმსჯელეთ, რა გავლენა აქვს ტექნოლოგიების განვითარებას გლობალიზაციის პროცესზე?

...მოქალაქეობა არის ბრძოლა თავის წრესთან, თავის თავთან. მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, ფიქრს, მხენებას, ჭკუას; მოქალაქეობა მოითხოვს ნათლიან თვალით საგნების დანახვას, ნინდახედულებას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებულ ადამიანის, სხვის აზრის გაგონებას და ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას... მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება. თვისი საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის გასანათლებლად...

## 5. გლობალიზაცია

ტერმინი „გლობალიზაცია“ საყოველთაოდ 1980-იანი წლებიდან გამოიყენება, როგორც ეკონომიკური ტერმინი და შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზეც გავრცელდა.

გლობალიზაცია აერთიანებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს. აღნიშნავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის დაახლოების ტენდენციას, როცა განვითარების პროცესში ყველა სფერო და რეგიონი სულ უფრო მეტად ხდება ერთმანეთზე დამოკიდებული.

გლობალიზაციის პროცესმა უფრო დააჩქარა და გაამწვავა გლობალურ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ხედვების დაპირისპირების პროცესი. ამას გარდა, გააქტიურდა ქმედებები მსოფლიოში არსებული პრობლემების ერთობლივად გადასაჭრელად.

დისკუსია იმასთან დაკავშირებით, გლობალიზაცია კარგია თუ ცუდია, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს და საკმაოდ რადიკალური ფორმებითაც. თუმცა ფაქტს, რომ მსოფლიო სულ უფრო და უფრო ერთიანი ხდება, არავინ არ უარყოფს. ამ შემთხვევაში პროცესს ყველაზე კარგად გამოხატავს ფრაზა, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანს მიაწერენ: „გლობალიზაცია – ეს ქარიშხალია, რომელმაც შეიძლება თქვენი სახლიც დაანგრიოს და თქვენი ქარის ნისქვილიც სწრაფად აამუშაოს, საკითხავია, როგორ გამოიყენებთ მას“.



გლობალიზაციის დროს მიმდინარე პროცესები ეხება როგორც ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ, ისე სოციალურ და კულტურულ სფეროს.

ეკონომიკური კავშირებისა და ტექნოლოგიური სიახლეების განვითარების მაგალითია მსხვილი საინვესტიციო პროექტები.



## სავარჯიშო № 22

**იმსჯელეთ, რა გავლენა აქვს ტექნოლოგიების განვითარებას გლობალიზაციის პროცესზე?**

2018 წელს სტამბოლში გაიხსნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საერთაშორისო აეროპორტი. გათვლილია, რომ ის ყოველწლიურად 200 მილიონამდე ადამიანს უნდა მოეგმასუროს. აეროპორტში სრულდება საერთაშორისო რეისები, მას ხშირად იყენებენ ტრანზიტული ფრენებისთვის, სწორედ ამიტომ სტამბოლის აეროპორტს მსოფლიოს შეხვედრის წერტილსაც უწოდებენ.



სტამბოლის გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით (ქალაქი მოსაზღვრე გორაკებსა და ზღვას შორის არის „ჩაჭედილი“), ასეთი მასშტაბის ჰაბის შექმნა, ჯერ კიდევ 20-30 წლის წინ წარმოუდგენელი იქნებოდა. ლოჯისტიკური პრობლემების მოგვარების მიზნით, მშენებლობის პროცესში გამოიყენეს უახლესი და ურთულესი ტექნოლოგიები (GIS სისტემები, კომპიუტერული მოდელირება და ა. შ.). შედეგად სტამბოლი მართლაც ხდება „აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთი ცენტრალური სამუამავლო პუნქტი.

სოციალურ და კულტურულ სფეროთა განვითარება, ეკონომიკისგან განსხვავებით, ღირებულებების ცვლას უკავშირდება, რაც თავისებურ სირთულეებს ქმნის. მაგალითისათვის კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული პროცესების გახსენება შეიძლება. ერთი მხრივ, მთელმა მსოფლიომ ერთიანობის მაგალითი გვიჩვენა – ჯანდაცვისა სფეროში ქვეყნები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებები დიდ სოლიდარობას ავლენდნენ ერთმანეთის მიმართ და ა. შ., მაგრამ ამავე დროს გამოვლინდა

ბევრი სირთულე – პანდემიის გარკვეულ ეტაპზე, ვაქცინაციის პროცესში, ყველა ქვეყანას დროულად არ მიეწოდებოდა საკმაო ოდენობით შესაბამისი მედიკამენტები, რომელიც არათანაბრად ნაწილდებოდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს სხვადასხვა გამოწვევის პროცესში არსებულ სირთულეებს და ურთიერთწინააღმდეგობრიობას.



### სავარჯიშო № 23

უყურეთ ვიდეოს სახელწოდებით „დემოკრატიისა და გლობალიზაციის გავლენა ეროვნულ იდენტობასა და კულტურაზე“ – გელა ჩარკვიანი (<https://www.youtube.com/watch?v=DLEAsi1fNFY>).

იმსჯელეთ, როგორ შეიძლება აისახებოდეს გლობალიზაცია კონკრეტულ ქვეყანაზე? რა დადებითი ან უარყოფითი შედეგები შეიძლება მოსდევდეს მას?



### სავარჯიშო № 24

იმსჯელეთ, რატომ არგებენ უმსხვილესი რესტორნების ქსელები თავის მენიუებს ქვეყნის სპეციფიკას?

მსოფლიოში ცნობილი კვების რესტორნები (მაკდონალდსი, სტარბაქსი და ა. შ.), თავიანთი გავრცელების მასშტაბით ხშირად გლობალიზაციის სიმბოლოდაც კი განიხილება, თუმცა იცოდით, რომ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ამ რესტორნების ფილიალები ერთი სახელითა და ერთი სიმბოლიკით არის წარმოდგენილი, მათი მენიუები ქვეყნების მიხედვით ხშირად განსხვავდება?



მსოფლიოსათვის თანამედროვე ეპოქის მიერ შემოთავაზებული ღირებულებები მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანი არ არის. ამ ღირებულებებს მსოფლიო XX საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული უჭერს მხარს. მათ შორისაა: ადამიანის უფლებები, რელიგიური პლურალიზმი, გენდერული თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გარემოს დაცვა, მდგრადი მსოფლიო ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის დაძლევა, ქვეყნებს შორის კონფლიქტების პრევენცია და შეწყვეტა, მასობრივი განადგურების იარაღის ლიკვიდაცია, ჰუმანიტარული დახმარება და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება.



### სავარჯიშო № 25

დაფიქტრდით და იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების გლობალური კამპანიის ჩატარება? თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ. კიდევ რომელი პრობლემა გახსენდებათ, რომლის გადაჭრაც ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს?

„დედამიწის საათი“ არის გლობალური აქცია, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის თემებზე მოსახლეობის

ცნობიერების ამაღლებაა. საქართველო ყოველ წელს აღნიშნავს „დედამიწის საათს“. მასობრივი კამპანია აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესსექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამთავრობო უწყებებს, სტუდენტებსა და მოქალაქეებს. „დედამიწის საათს“ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ასობით მილიონი ადამიანი უერთდება და ერთი საათის განმავლობაში ელექტროენერგიას თიშავს.



### სავარჯიშო № 26


როგორ ფიქრობთ, გლობალური მოქალაქეობის იდეა ძველი ფასეულობაა, რომელიც ჩვენს დროში გახდა აქტუალური, თუ ახალი იდეაა, რომელიც XX საუკუნის შუა ხანებიდან, გლობალიზაციის პროცესის შედეგად წარმოიშვა? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

1999 წელს, როდესაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ სტრასბურგში ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეას პლენარულ სხდომაზე მიმართა სიტყვებით: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“. ამით გაცხადდა იქნა, რომ საქართველო იზიარებს ევროპულ ღირებულებებს და ეს ღირებულებები თავისი ცხოვრების წესის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია.




### სავარჯიშო № 27

მოამზადეთ ესე თემაზე: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ კაცობრიობის ნაწილი“.



### 3. პიროვნების განვითარების პროცესი

წინა პარაგრაფებიდან თქვენ გაეცანით საკითხებს ადამიანის ოფიციალური სტატუსის – მოქალაქეობის – შესახებ, სახელმძღვანელოს ამ ნაწილში კი ვისაუბრებთ პიროვნების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებასთან მის ურთიერთობაზე. პარაგრაფში მოცემული აქტივობები მრავალფეროვანია და მოგცემთ საშუალებას, თავად გააკეთოთ დასკვნები ამ საკითხთან დაკავშირებით.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქტდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.

#### კომპლექსური დავალება

შექმენი კომიქსი/დლიური/სცენარი, გამოიგონე პერსონაჟები და სიუჟეტი, რომელიც წარმოაჩენს პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს და მშვიდობიანი თანაცხოვრების მნიშვნელობას, როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებისთვის. ნაშრომი უნდა ასახავდეს პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

- რა არის ადამიანის მსოფლმხედველობასა და პიროვნულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები?
- როგორ ეხმარება ადამიანს თვითრეფლექსია, ემპათია, ასერტულობა თუ ემოციების მართვა სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. სად და როგორ უნდა გამოიმუშაოს აღნიშნული უნარები?
- რა პიროვნული მახასიათებლები უწყობს ხელს განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებს მშვიდობიან თანაცხოვრებასა და საერთო პრობლემების მოგვარების საქმეში?
- რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი პრობლემების საერთო ძალებით გადაჭრა და რა გზებით შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება?

კომპლექსური დავალების პროდუქტზე მუშაობისას შეგიძლიათ სიუჟეტი დააფუძნოთ შემდეგ მაგალითს და დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად განავითაროთ ისტორია:

ერთ სოფელში ცხოვრობენ განსხვავებული შეხედულებებისა და ტრადიციების მქონე ჯგუფები. წლების მანძილზე მათ დააძლული ურთიერთობა აქვთ. ხშირია კონფლიქტები, ვერ თანხმდებიან თუნდაც მთლიანი სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტილას. მაგალითად, სასმელი წლის პრობლემა წლობით გრძელდება მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ გადაწყვიტეს, თუ რომელ ადგილზე უნდა გაკეთდეს წყლის საცავი ავზი. სოფელში ახლახან ჩამოვიდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, რომელმაც სკოლაში გახსნა სამოქალაქო განათლების კლუბი. კლუბის წევრები ადგილობრივი მოსწავლეები არიან, რომლებიც განსხვავებულ ჯგუფებს წარმოადგენენ. სულ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მათ საერთო ენა გამონახეს და ახლა ფიქრობენ, ერთი მხრივ, როგორ მოაგვარონ სასმელი წყლის პრობლემა, ხოლო მეორე მხრივ, როგორ დაახლოვონ დაპირისპირებული ჯგუფები.

#### რეკომენდაცია:

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას იპოვით სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში. ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და სამუშაო რვეულში

მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომელიც ზემოთ მოცემული კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

კომიქსის შესაქმნელად შეარჩიეთ პერსონაჟები, დაგეგმეთ სიუჟეტი და პერსონაჟების დიალოგებსა და მოქმედებებში წარმოაჩინეთ თქვენი სათქმელი.

კომიქსი შეგიძლიათ თავად დახატოთ ან ელექტონულად ააწყოთ ერთგვარი ანიმაცია და ვიზუალურად გაამდიდროთ სათქმელი.

ვიდეოს შესაქმნელად შეგიძლიათ, გამოიყენოთ საიტი <https://biteable.com/> ან <https://www.kapwing.com/>

ადამიანი სოციალური არსებაა, პიროვნებად მისი ჩამოყალიბების პროცესზე დიდი გავლენა აქვს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან ურთიერთობას. გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, ინფორმაცია, რომელსაც იგი ეცნობა, სოციალური ჯგუფები, რომლებთანაც ურთიერთობს, პიროვნების მსოფლმხედველობის, ღირებულებების, პრინციპების ჩამოყალიბებაზე აისახება, რაც შემდგომ მის ქმედებებში გამოიხატება. თავის მხრივ, ადამიანი, როგორც საზოგადოების ნაწილი, ზემოქმედებს მასზე. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზეგავლენა ორმხრივია და ადამიანები ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ.

პიროვნების ჩამოყალიბება გულისხმობს იდენტობის გამოკვეთასაც, ანუ საკუთარი პიროვნული მახასიათებლების (თვისებების, უნარების, ღირებულებების) აღქმას და სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, ეთნიკური, რელიგიური, პროფესიული და ა.შ) მიმართ მიკუთვნებულობის განცდას.

## 1. ფსიქო-სოციალური უნარები

ადამიანებთან კონტაქტი ასევე გვეხმარება, გამოვიმუშაოთ სოციო-ემოციური უნარ-ჩვევები, მაგალითად, ემპათია, კომუნიკაცია, ემოციების მართვა, თვითრეფლექსია, ასერტულობა, რაც, თავის მხრივ, ისევ ადამიანებთან ეფექტურ ურთიერთობაში გვიწყობს ხელს.

<p><b>იდენტობა –</b> ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული სუბიექტური კონცეფცია; <b>საკუთარი თავის იგივეობის</b> განცდა; ტერმინი გამოიყენება ნებისმიერი ტიპის ჯგუფის მიმართ მიკუთვნებულობის გამოსახატავად.</p> <p><b>ღირებულება –</b> წარმოდგენა სასურველის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ქმედებაზე. ღირებულებები მოიცავს სულიერ იდეალებს, ზნეობრივ ნორმებსა და პრინციპებს.</p>	<p>პიროვნება არის ადამიანი, ინდივიდი თავისი ღირებულებებით, იდეებით, მოსაზრებებითა და მისწნრაფებით. ეს ყველაფერი პიროვნების ხასიათს, ქცევას განაპირობებს და განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებაში.</p> <p><b>ასერტულობა</b> არის ადამიანის უნარი, მკაფიოდ გამოხატოს საკუთარი სურვილები და პოზიცია იმგვარად, რომ ამავდროულად პატივი სცეს სხვებს.</p>	<p><b>თვითრეფლექსია –</b> თვითშემეცნება ანუ რეფლექსური აზროვნება, როდესაც ხდება საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავება, საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება, შეფასება, დაგეგმვა და კონტროლი.</p> <p><b>ემპათია –</b> სხვა ადამიანის თვალთახედვის, მისი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და გაზიარების უნარი.</p>
--	--	---



## სავარჯიშო № 1

გაეცანით სოციო-ემოციური უნარების ჩამონათვალს, იმსჯელეთ, რაში გვეხმარება ისინი (განიხილეთ თითოეული მათგანი)? როგორ გარემოში შეიძლება გამოვიმუშაოთ ეს უნარები?



## სავარჯიშო № 2

გაეცანით კომუნიკაციის ტიპებს და იმსჯელეთ, რომელ მათგანს ანიჭებთ უპირატესობას? რატომ? კომუნიკაციის რომელ ტიპს აირჩივდით, კონფლიქტის მშვიდობინად მოგვარების აუცილებლობის წინაშე რომ დამდგარიყოვით? რატომ?



## სავარჯიშო № 3

გაეცანით საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლს; იმსჯელეთ, როგორ გესმით გამონათქვამი „პიროვნების თავისუფლად განვითარება“, და რატომ არის დაცული ეს უფლება კონსტიტუციით?

„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.“



## სავარჯიშო № 4

კლასში მოაწყვეთ დისკუსია, დაფიქრდით და იმსჯელეთ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესზე. პიროვნების განვითარება გარკვეული დროითაა განსაზღვრული და კონკრეტულ ასაკში სრულდება თუ მუდმივი პროცესია და იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდება? რაში შეიძლება გამოიხატებოდეს პიროვნების განვითარება?



იფიქრე, როგორ შეიძლება აისახებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილი სიტუაციები პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესზე, რა თვისებები ან შეხედულებები შეიძლება უყალიბდებოდეს ადამიანს ასეთ სიტუაციებში?

- როდესაც ადამიანი ბავშვობიდან სამართლიან გარემოში ცხოვრობს და პირიქით, როდესაც ყოველ დღე აწყდება უსამართლობას;

- როდესაც ადამიანები ერთმანეთს პატივს არ სცემენ, ან პირიქით, როდესაც ურთიერთპატივისცემა ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა;
- როდესაც ადამიანები ყველა სიტუაციაში მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევენ მართლებად, ან პირიქით, როდესაც ადამიანი ფიქრობს, კრიტიკულად აანალიზებს როგორც სხვის, ისე საკუთარ ქმედებებს.



### სავარჯიშო № 5

ჩაატარეთ პატარა ექსპერიმენტი: სთხოვეთ თქვენს უფროს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც აქტიურად იყენებენ სოციალური მედიის გვერდებს, თვალი გადაავლონ წლების წინ დაწერილ სტატუსებს და დაფიქრდნენ, დღესაც, ამ ასაკშიც, იმავეს დაწერდნენ? თუ თავადაც სარგებლობთ სოციალური მედიით, მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარება საკუთარ პოსტებზეც შეგიძლიათ. როგორია შედეგი? თქვენი აზრით, რა იწვევს ამ ცვლილებებს?



### სავარჯიშო № 6

გაეცანით ქვემოთ მოცემულ გამონათქვამებს და იმსჯელეთ, რა არის მათი მთავარი სათქმელი და რამდენად ეთანხმებით ამ აზრებს.

- „ბედნიერება – როდესაც რასაც ფიქ-რობ, ამბობ და აკეთებ, ჰარმონიაშია“.
- „გრამი საკუთარი გამოცდილება უფრო ღირებულია, ვიდრე ადამიანების ტონობით რჩევა“. (მაჰათმა განდი)
- „ადამიანი ერთადერთი ქმნილებაა, რომელიც უნდა აღიზარდოს“. (იმანუილ კანტი)
- „ყოველ ადამიანში არის რაღაც ყველა ადამიანიდან“. (გეორგ ლიხტენბერგი).
- „ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანი კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა“. (ილია ჭავჭავაძე)
- „ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა“. (ილია ჭავჭავაძე)



## 2. პიროვნება და საზოგადოება



### სავარჯიშო № 7

გაიხსენეთ მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან, კინემატოგრაფიიდან, რეალური ცხოვრებიდან, როდესაც საზოგადოებამ გავლენა მოახდინა პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მის გადაწყვეტილებებზე, ან პირიქით, როდესაც ადამიანის ქცევამ შეცვალა საზოგადოება. იმსჯელეთ, რატომ და როგორ ახდენს გავლენას საზოგადოება პიროვნებაზე? პიროვნება საზოგადოებაზე?

გაეცანით ამონარიდს ჯემალ ქარჩხაძის მოთხოვიდან „იგი“ და იმსჯელეთ, როგორ

უნდა მოიქცეს პიროვნება, თუკი მისი შეხედულებები საზოგადოებისას ეწინააღმდეგება. თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ.

(კონტექსტის უკეთ გასაგებად, რეკომენდებულია, ნაწარმოებები წაიკითხოთ სრულად).

## იგი

(ნაწყვეტი)

„ზოგი მეტად იყო მოხრილი, ზოგი ნაკლებად. მაგრამ ყველანი მოხრილები იყვნენ. შუბლები მიწისათვის მიეშვირათ, გრძელი ხელები უსიცოცხლოდ ქანაობდნენ.

წინ ბელადი მიდიოდა.

ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი. ხელები ლამის მიწაზე დასთრევდა.

იგის უცებ სახეზე ალმურის სუნი აუვიდა და მუცელში ცხელმა გემომ დაუარა.

იგი ისეთი არ იყო, როგორიც იყვნენ სხვები!

გამართული იდგა. შუბლი შორეული მთის წვერისათვის მიეშვირა.

ცხელი გემო კიდევ უფრო სწრაფად დატრიალდა მუცელში. ტანზე ცივმა შიშმა გადაურბინა და ბალანი აუჯაგრა.

და მარტომბის შემაშფოთებელი სუნი ეცა.

„კიდევ კარგი, არავის შეუმჩნევია გამართული იგი, – უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში. – იგი ახლავე მოიხრება და ისეთი გახდება, როგორიც არიან სხვები.

მაშინ მას მარტომბა აღარ ეტკინება და აღარც ცივი შიში აუჯაგრავს ბალანს“.

იგი შეჩერდა, წინ მიმავალ თანამოძმეებს დააკვირდა. ყველანი მშვენივრად იყვნენ მოხრილები. „იგიც მათ უნდა დაემსგავსოს, რაკი მათი თანამოძმეა“, – თავის სხეულში თქვა იგიმ.

მაგრამ ოდნავ მოიხარა თუ არა, ზურგში ავი ნადირივით ჩააფრინდა ტკივილი.

ტკივილი ჯიუტი იყო და იგის მძიმე ბრძოლის გადახდა დასჭირდა. მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, ტკივილი დაამარცხა და ისეთი გახდა, როგორიც არიან სხვები“.

როცა ტკივილი საბოლოოდ გაქრა, უხმოდ თქვა თავის სხეულში:

„ახლა იგის შეუძლია დიდ გამოქვაბულში დარჩეს და დაიძინოს“.

სწორედ ამ დროს, სად იყო, სად არა, წუხილი გამოჩნდა.

წუხილი შმაგი ნადირივით წამოვიდა, უჩუმრად მომავალ ძილს გადაასწრო, ფაფუკი ბურანი გაარღვია და იგის სხეულში შეუძვრა.

თან მარტომბის გემო შეიტანა.

იგი გამოფხიზლდა. გაკვირვებული გაინაპა, სუნთქვა შეიკრა, ყური მიუგდო წუხილს.

წუხილი სხეულში დაძვრებოდა.

მაშინ იგი ფრთხილად წამოჯდა.

„რა უნდა წუხილს იგისაგან? – უხმოდ ჰკითხა იგიმ წუხილს. – იგი ხომ უკვე ისეთია, როგორიც არიან სხვები?“

იგის ველარაფერი გაეგო. განა იმისთვის არ იწვალა ამდენი, რომ წუხილის ნება შეესრულებინა და ისეთი გამხდარიყო, როგორიც არიან სხვები? განა ამას არ მოითხოვდა წუხილი მისგან? მაშ რაღად დაბრუნდა? რაღას მოითხოვს?

უცებ შორს, სადაც ცა ზღვაში ეშვებოდა, სხივი გამოჩნდა. იგი დააკვირდა და თვალი ააყოლა. სხივი ერთ ადგილას გაწყვეტილი იყო, ზემოთ ისევ ჩანდა. იგიმ უფრო მაღლა ააყოლა თვალი, კიდევ უფრო მაღლა, კიდევ უფრო მაღლა. ზურგში ტკაცანი გაისმა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ბოლოს სხივის დედა დაინახა, ლამის თვალი,

რომელიც ღრუბელზე იჯდა და იგის უყურებდა. მთელი ცა ბრჭყვიალა კენჭებით იყო მოფენილი.

იგის რაღაცნაირი ხმა აღმოხდა.

ხმა თითქოს ისეთი იყო, როგორიცაა გამარჯვების ყიუინა, მაგრამ უფრო რბილი და თბილი სუნი ასდიოდა.

და მაშინვე იგრძნო, რომ წელში გამართული იჯდა.

გაეცანით ამონარიდს ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან“ და იმსჯელეთ, როგორი პიროვნება ოთარაანთ ქვრივი, რატომ არ ეპუება ის სოფლის მოსაზრებას, რომ ბარი და თოხი ქალის საქმე არაა. პიროვნება ყოველთვის განიცდის საზოგადოების გავლენას?

ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხეკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჭიის-კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშვებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილია.... სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქმოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ, თუ საზამთროდ. თავისის ხელით ჰებარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესა და ჰკრეფს ხოლმე. თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

– თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, – ამბობდა. ხოლმე. – მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!..



### აქტივობა № 8

გაიხსენეთ ან უყურეთ ფილმს „კურ-დლელი იოიო“ და კლასში იმსჯელეთ, რატომ შეეცვალა პერსონაჟს შეხედულებები? რამ იმოქმედა მასზე?



### აქტივობა № 9

წაიკითხეთ/მოისმინეთ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქე-თელაური“, დაფიქრდით და კლასში იმსჯელეთ, რატომ შეიცვალა აზრი ალუდამ? რატომ გადაწყვიტა, არ გაჰყოლოდა ტრადიციას? როგორ შეხვდა ამას თემი? რატომ არ დათმო თავისი პოზიცია ალუდამ? როგორ შეაფასებდით მის საქციელს?

პიროვნების განვითარების პროცესში, დროთა განმავლობაში მისი შეხედულებები შეიძლება შეიცვალოს. რატომ ხდება ასე? როგორ შეაფასებდით პიროვნებას, რომელსაც შეუძლია, გადააფასოს საკუთარი მოსაზრებები? თქვენი აზრით, სუსტია ის თუ ძლიერი? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.





### სავარჯიშო № 10

უყურეთ ვიდეოს „პლატონი: გამოქვაბულის ალეგორია“ და იმსჯელეთ, რატომ ცდილობდა სინათლეზე გასული ადამიანი სხვების დარწმუნებასაც? რატომ არ მოინდომეს გამოქვაბულის ადამიანებმა სინათლეზე გასვლა? რა გამოსავალია ასეთ სიტუაციში?



### სავარჯიშო № 11

გაეცანით ნიკო ლორთქიფანიძის ჩანახატს „მონა“ და იმსჯელეთ, რა ლირებულებების მატარებელია მონა? რა ლირებულებებს სთავაზობს თანამოსაუბრე? რა არის საჭირო ამ ლირებულებების მოსაპოვებლად? როგორ ფიქრობთ, რამდენად მარტივია ლირსეული ცხოვრების გზის არჩევა?

„....ჯვარედინ გზაზე ისმის:

- გასწორდი წელში; ასწიე მაღლა, ამაყად თავი; მოიღერე კისერი; თავისუფლება მიეც გულ-მკერდს – ისუნთქე მსუბუქი ჰაერი; ნუ ჩამოგიშვია ცხვირი; დაიჭირე მზის სხივები, მიაპყარ სმენა გალობას, დასტკბი ვარდთა ყნოსვით!
- მე მონა ვარ!..
- რა ვუყოთ! იბრძოლე! განთავისფულდები...
- მე სუსტი ვარ...
- თავისუფლების სიყვარული მოგცემს მოსეს კვერთს და დავითის შურდულს...
- არ მაქვს იმედი...
- არაფერია, ბრძოლაში იმედიც იბადება.
- მეშინია უარესის...
- მონობაზე უარესი რაღა იქნება?
- სიკვდილი... შიმშილი...
- ....
- მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად მონა... ნაკლებად საცოდავი, ვიდრე საზიზღარი“.



### სავარჯიშო № 12

გაეცანით გამონათქვამს და იმსჯელეთ, რას გულისხმობს ის? თქვენ რა შეხედულება გაქვთ ამაზე?

„ტირანს არ უშვია მონა, პირიქით, მონამ შვა ტირანი“. (მიგელ დე უნამუნო)



### სავარჯიშო № 13

გაეცანით ოთარ ჭილაძის გამონათქვამს და იმსჯელეთ, რა არის სინდისი? რატომ არის ის მნიშვნელოვანი? რამდენად ეთანხმებით გამონათქვამის შინაარსს?

„ადამიანი სინდისია, სინდისის გარდა, რაც არ უნდა წაართვა, მაინც ადამიანი იქნება. სიკვდილის მერეც ადამიანისგან მარტო სინდისი რჩება. სინდისი იგივე სულია ადამიანისა, ანუ სული იგივე სინდისია. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ კი რამე ყოფილა, სინდისი ყოფილა უკვდავი“.



### სავარჯიშო № 14

მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ჩვენი ლირებულებები, ის, რისიც გვჯერა, გვწამს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეულია ჩვენთვის (მაგალითად,


თავისუფლება, სამართლიანობა, მეგობრობა, ურთიერთობები, ოჯახი და ა. შ.). ღირებულებები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც კომპასი, რომელიც გვეხმარება, გავაკეთოთ არჩევანი კრიტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას.

დაფიქრდით, როგორი პიროვნება გინდათ, იყოთ? ჩამონერეთ თქვენთვის მთავარი ღირებულებები.



### სავარჯიშო № 16

გაიხსენეთ, წაიკითხეთ ან მოისმინეთ მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“. იმსჯელეთ, როგორი პიროვნება იყო სოფიო? როგორი ღირებულებების მატარებელი? რა მოხდა მაშინ, როცა იგი ბრბოს გარემოცვაში აღმოჩნდა? რამდენად შეინარჩუნა მან პიროვნული თვისებები ბრბოს გარემოცვაში? რატომ? ვის სჭირდება ემპათია, მხოლოდ მას, ვის მიმართაც ემპათიას გამოხატავენ თუ მასაც, ვინც ემპათიურად არის განწყობილი?



### აქტივობა № 17

ემპათია

უყურეთ ვიდეოებს სახელწოდებით „ემპათია VS თანაგრძნობა“ და „Understanding Empathy“ და იმსჯელეთ, რა არის ემპათია და რისთვის სჭირდება ის ადამიანს, რა როლს ასრულებს ის პიროვნულ ზრდაში?



### აქტივობა № 18

მოისმინეთ/წაიკითხეთ

ბალადა „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“. ყურადღება გაამახვილეთ დედის საქციელზე და იმსჯელეთ, რატომ გადაწყვიტა მან ვეფხის დედის მონახულება? რაზე მეტყველებს ეს გაანწყვეტილება? როგორი პიროვნებაა ის?

„ხან იფიქრებდა, უდედოდ  
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,  
იქნება ვეფხვის დედაი  
ჩემზე მწარედა სტირისა.  
წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიმარ უთხრა ჭირისა,  
ისიც მიამბობს ამბავსა,  
მეც უთხრა ჩემი შვილისა,  
იმასაც ბრალი ექნების  
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა!“





## სავარჯიშო № 19

### დიალოგის ძალა – კომუნიკაცია და ასერტულობა

დერილ დევისი აფრო-ამერიკელი მუსიკოსია, რომელმაც გადაწყვიტა, უკეთ გაეცნო კუ-კლუქს-კლანის\* ერთ-ერთი ლიდერი და მისი მოსაზრებები. დერელი დაუახლოვდა მას, იწვევდა სახლში, თავადაც სტუმრობდა კლანის შეკრებებზე, უსმენდა წევრების გამოსვლებს, ცდილობდა, ჩასწვდომოდა მათ აზრებს და დაენახა, საიდან მომდინარეობდა ისინი. მისი თქმით, მხოლოდ ასე შეძლებდა რაიმეს შეცვლას. მათმა ურთიერთობამ რამდენიმე წელს გასტანა, საბოლოოდ დერელ დევისის ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდა და ლიდერმა დატოვა კლანი.



ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას დერელმა თქვა:

„პატივისცემა არის გასაღები. მნიშვნელოვანია ერთად დასხდომა და უბრალოდ საუბარი, არა აუცილებლად ურთიერთშეთანხმება, არამედ ერთმანეთის პატივისცემა და ერთმანეთისთვის საკუთარი მოსაზრებების გამოსათქმელად სივრცის დათმობა. სწორედ ჩვენი ურთიერთბატივისცემისა და სურვილის – ერთმანეთისთვის მოგვესმინა – შედეგი იყო მისი კლანიდან წამოსვლა. მე ფსიქოლოგი და სოციოლოგი არ ვარ, მუსიკოსი ვარ და თუ მე შევძლი ეს, ყველა შეძლებს. დაუთმეთ დრო, დასხედით და მშვიდად ესაუბრეთ თქვენს მონინააღმდეგეს. ერთმანეთისგან ისწავლით რაღაცას. როცა ორი მტერი კი არ ჩხუბობს, არამედ სუბრობს ერთმანეთში, ისინი რაღაცას ისწავლიან, საუბარი ამცირებს ძალადობის მოტივებს, ასე რომ, გააგრძელეთ საუბარი.“



დაფიქრდი, როგორ შეძლო დერელმა საკუთარი მიზნის მიღწევა? რა თვისებები დაეხმარა მას ამაში? რა მოხდებოდა, თუკი ის ძალადობით ეცდებოდა კლანის გადარნებუნებას? თქვენი აზრით, რამდენად მარტივი იყო მისთვის ემოციების მართვა? როგორ მოახერხა ეს? როგორ დაახასიათებდით დერელის პიროვნებას? რამდენად მნიშვნელოვანია სამქეალაქო აქტივისმის თუ ინდივიდუალური ურთიერთობების დროს, დასახული მიზნის მისაღწევად არაძალადობრივი ქმედებების გამოყენება?



\*კუ-კლუქს-კლანი – რასისატა საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაცია აშშ-ში.



## სავარჯიშო №20

გაეცანით ისტორიებს და იმსჯელეთ, რატომ გაერთიანდნენ განსხვავებული ადამიანები ერთი პრობლემის ირგვლივ? რა გზებით მოახერხეს მათ პრობლემის გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანა? სამქეალაქო მონაწილეობის სხვა რა ფორმები გახსენდებათ?

„1950 წელს ონში ჩასულ მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს (რომლებსაც სინაგოგის დახურვა უნდოდათ) სინაგოგის კარი შიგნიდან ჩარაზული დახვდათ, მაგრამ შენობიდან ჩვილების ტირილი ისმოდა. როცა მიუყურადეს მიხვდნენ, რომ შენობაში ძალიან ბევრი ბავშვი იყო. ქუჩაში შეკრებილი უამრავი ონელისაგან კი შეიტყვეს, რომ სინაგოგაში არა მხოლოდ ებრაელი, არამედ ქართველი დედებიც შვილებთან ერთად იმყოფებოდნენ, რათა არავისთვის მიეცათ სინაგოგის დახურვის საშუალება. ქართველი და ებრაელი ქალების ამ თავდადებამ ონის სინაგოგა განადგურებას გადაარჩინა“, – ასეთ გადმოცემებს მოისმენთ ონში ებრაელებისა და ქართველების მიერ ონის სინაგოგის ფასაცავად განხორციელებული გმირული ისტორიებიდან. (ამონარიდი სტატიიდან „ონის სინაგოგა დღეს ისევ დაკეტილია“ ავტორი – ნათა გოგოლაშვილი).



2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიამ უამრავი ადამიანი გააერთიანა, ვის არ ნახავდით მოხალისეთა რიგებში, საერთო საქმის საკეთებლად გვერდიგვერდ სრულიად განსხვავებული ადამიანები იდგნენ. რადიო თავისუფლების სტატიაში „13 ივნისი – მაგალითი ერთად დამისა“ ვკითხულობთ „ყველაზე ემოციური და გადამდები კადრი მაია დარსალიასთვის, კიდევ ერთი მოხალისისთვის, ის მომენტი აღმოჩნდა, როდესაც „მზიურის“ ტერიტორიაზე დაშავებული, ფეხმოტეხილი ბიჭი ცალ ფეხზე დაყრდნობილი იდგა მოხალისეთა ცოცხალ ჯაჭვში და გაწმენდით სამუშაოებში მუშაობას აგრძელებდა. მაია დარსალიას თქმით, მისთვის იმ დღეებში წარმოუდგენელი იყო სახლში დარჩენა და ამ ადამიანების შორიდან ყურება:



„ჩამწერეს გოგოების მოხალისეთა ჯგუფში და მორების გადაზიდვაში ვეხმარებოდით მოხალისეებს. იმ მომენტში იმაზე არ ფიქრობ, რომ შენ გოგო ხარ და შეიძლება ფიზიკურად არ გეყოს ძალა, მაგრამ გოგოები ძალიან მძიმე მორებსაც კი ვეზიდებოდით. ძალიან ამაღლვებელი იყო ასევე ის ფაქტი, რომ ჩვენ მარტო არ ვიყავით. ჩვენთან ერთად მუშაობდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც და როდესაც ისინი მოდიოდნენ, შეძახილებით და ტაშით ვეგებებოდით მათ“



## სავარჯიშო №21

გაეცანით დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს, გაიხსენით, №19 და №20 სავარჯიშოში განხილული ისტორიები (მეოცე სავარჯიშოს პირველი ისტორია). იმსჯელეთ, კომპეტენციების რომელ მიმართულებას ფარავს მოცემული მაგალითი: ლირებულებებს, უნარებს, დამოკიდებულებებსა თუ ცოდნის კრიტიკულ გააზრებას? თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები პიროვნებად ჩამოყალიბებას ან პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობას?

ტერმინი „კომპეტენცია“ განმარტებულია როგორც „შესაბამისი ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და/ან გააზრების მობილიზებისა და ამოქმედების უნარი, დემოკრატიულ გარემოსთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე სათანადო და ქმედითი რეაგირებისათვის... მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში“.

### ღირებულებები

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება;
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება;
- დემოკრატიის, სამართლიანობის, პეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

### დამოკიდებულებები

- კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა;
- პატივისცემა;
- მოქადაქეობრივი აზროვნება;
- პასუხისმგებლობა;
- თავდაჯერებულობა;
- გაურკვეთლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.


## კომპეტენციები

- დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები;
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები;
- მოსქენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები;
- ემპათია;
- მოქნილობა და შეცუდის უნარი;
- ენბორივი, კომუნიკაციური და მრავალენობის უნარები;
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;
- კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები.

### უნარები

- საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება;
- ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება;
- მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიის, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვთარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება.


### ცოდნა და კრიტიკული გააზრება




შეაფასეთ საკითხთან დაკავშირებული თქვენი ამჟამინდელი ცოდნა. დაფიქრდით, რა დაგეხმარათ ან რამ შეგიძლათ ხელი ცოდნის გაღრმავებაში, სამომავლოდ რას გაითვალისწინებთ?

## 4. დეზინფორმაცია და მისი შედეგები

ამ პარაგრაფში თქვენ გაიხსენებთ ყალბი ამბების მნიშვნელობას და გაეცნობით დეზინფორმაციის არსა და მის შედეგებს.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქტრდით, რა სახის ინფორმაცია ან აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ?



### კომპლექსური დავალება

გაეცანით ამ პარაგრაფში მოცემულ მასალას და დაწერეთ ბლოგი დეზინფორმაციისა და ყალბი ამბებისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ.

**ბლოგში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:**

- რატომ არის სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ობიექტური ინფორმაციის (როგორც რესურსის) ფლობა? როგორ აისახება ყალბი ინფორმაცია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე?
- როგორ აისახება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ გავრცელებული დეზინფორმაცია მათ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე?
- რა საფრთხეებს იწვევს ყალბი ინფორმაცია ლოკალურ და გლობალურ დონეზე?
- ვის ინტერესში შეიძლება შედიოდეს ყალბი ინფორმაციის გავრცელება? და როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა თავი ყალბი ინფორმაციისგან?

**რეკომენდაცია:**

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას გაეცნობით სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში, უურადღებით დაამუშავეთ მასალა და რვეულში მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომელიც ზემოთ მოცემული კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

ბლოგი გააფორმეთ ფოტოებით, შეურჩიეთ შესაბამისი სათაური.

თვით იკვლიერ, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩერიკე, შეამონებე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაპქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი. ილია ჭავჭავაძე

### 1. დეზინფორმაცია და ყალბი ამბები

რა არის დეზინფორმაცია? რა გავლენა აქვს მას?

თქვენ გახსოვთ, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებას, მოქალაქეთა მმართველობას ნიშნავს. მაინც როგორ უნდა მართონ მოქალაქეებმა სახელმწიფო? – მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებში, პლებისციტსა თუ რეფერენდუმში, თვალი ადევნონ ხელისუფლების საქმიანობას, შეამჩნიონ ირგვლივ არსებული პრობლემები, ეძებონ გადაჭრის გზები და საკუთარი წვლილი შეიტანონ მათ მოგვარებაში. იმისთვის, რომ მოქალაქე აქტიურად იყოს ჩართული მართვის პროცესში, მნიშვნელოვანია, მას ხელი მიუწვდებოდეს სხვადასხვა ინფორმაციაზე და სწორედ მათზე დაყრდნობით, მათი გაანალიზების შემდეგ დგამდეს ამა თუ იმ ნაბიჯს. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი მარტივად გამოიყურება – 21-ე საუკუნეში

ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით, თუმცა ინფორმაციასაც გააჩნია – ის, პირველ რიგში, სიმართლეს უნდა შექსაბამებოდეს. ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა კი მოქალაქის პირად ძალისხმევას მოითხოვს. თანამედროვე ადამიანი ყოველდღიურად უამრავ ინფორმაციას იღებს, მაგრამ მათგან ყველა სანდო როდია. მედიაში, განსაკუთრებით კი სოციალურ მედიაში, ხშირად ვრცელდება სხვადასხვა ხსიათის ყალბი ინფორმაცია და

თუკი მზად არ ვიქნებით მისი გადამოწმებისა და კრიტიკულად გაანალიზებისთვის, შეიძლება შეცდომაც დავუშვათ. როდესაც ყალბ ინფორმაციაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ განასხვავებენ მცდარ ინფორმაციასა და დეზინფორმაციას.

დეზინფორმაცია მიზანმიმართულად ვრცელდება ვინმესთვის ზიანის მისაყენებლად, მცდარი ინფორმაციის გავრცელებას კი შესაძლოა, წინასწარ განზრაბული ნეგატიური ჩანაფიქრი არ ედოს საფუძვლად.



### სავარჯიშო № 1

გაეცანით ევროპის კომისიის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას და იმსჯელეთ, ვის და რა სახის ზიანი შეიძლება მიადგეს დეზინფორმაციის გავრცელებით? რომელი პლატფორმებით შეიძლება ვრცელდებოდეს დეზინფორმაცია?

დანამდვილებით ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რომელიც შექმნილია, ნარმოდგენილია ან ვრცელდება ეკონომიკური მოგების ან საზოგადოების განზრახ მოტყუების მიზნით, რასაც შეიძლება მისთვის საზიანო შედეგი მოჰყვეს.



თუ დეზინფორმაცია სისტემა-ტურად ვრცელდება, მისი გავლენის არეალი საგრძნობლად ფართოვდება. განსაკუთრებულ ზიანს ის დემოკრატიულ პროცესებს (მაგალითად, არჩევნებს, საჯარო განხილვებს) აყენებს, ასუსტებს მოქალაქეების ნდობას მედიისა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ, ხელს უწყობს ნიჭილისტური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივი აზრის დამახინჯებას, მოქალაქეთა ჯგუფებს შორის დააბულობის, უნდობლობის, გაუცხოების, ზიზღის, შიშის გაჩენას, მათ შორის დაპირისპირების გაღრმავებას; დეზინფორმაცია შესაძლოა ნეგატიურად აისახოს ასევე ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ შეხედულებებზე, გარემოს დაცვაზე და ა. შ. სწორედ ამგვარი შედეგების გამო მიიჩნევენ დეზინფორმაციას ხშირად ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ფორმად, რომლის მიზანი ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობების მოშლა და დემოკრატიული პროცესების შერყევაა.

## სავარჯიშო № 2



დეზინფორმაციის ფარ-  
თოდ გავრცელებისთვის ხმი-  
რად იყენებენ სპეციალურად დაქირავებულ  
ადამიანებს, ე. წ. ტროლებს, და კომპი-  
უტერულ ალგორითმებს – ბოტებს, რომ-  
ლებიც სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ  
პოსტებს, წერენ კომენტარებს ან აზიარებენ  
წინასწარ განსაზღვრულ დეზინფორმაციულ  
შინაარსს. გადადით ბმულზე და გაეცანით  
სტატიას „რომელშიც ყოფილი ტროლი მოგვითხრობს, თუ როგორ  
მუშაობს ტროლების ქარხანა.“.



იმჯელით, რაზე მეტყველებს მსგავსი სამსახურების არსებო-  
ბა? დაფიქრდით, რატომ ქირაობენ ტროლებს და უხდიან ფულს დეზ-  
ინფორმაციის გავრცელებისთვის? რატომ ცდილობენ, რატომ მართავენ  
დეზინფორმაციის საფუძველზე მასობრივ დისკუსიებს?

გაიხსენეთ, თავად თუ შეგხვედრიათ ყალბი ინფორმაცია, რომელიც ნეგატიურად  
განგანყობდათ რომელიმე ადამიანის, ჯგუფის ან მოვლენის მიმართ?



## სავარჯიშო № 3

გადადით ბმულზე და გაეცანით ტროლების საქმიანობის  
სიმულაციას; ნახეთ, რა გზით შეიძლება იღებდნენ ისინი  
დავალებებს და რა მიზანს ემსახურებოდნენ (თამაში ინგლისურ ენაზეა,  
შეგიძლიათ, ის ინგლისური ენის გაკვეთილზე განიხილოთ).



## 2. კომფორმულობა და პოსტსიმართლე



## სავარჯიშო № 4

1956 წელს პოლონური წარმო-  
შობის ამერიკელმა ფსიქოლოგმა  
სოლომონ აშმა ჩატარა ექსპერიმენტი, რომელ-  
მაც დაამტკიცა, რომ ადამიანების საკმაოდ დიდი  
ნაწილი სხვების გავლენით ირჩევს ისეთ პოზიციას,  
რომელსაც, შესაძლოა, თავად არც ეთანხმება.  
ასეთ შემთხვევებში ადამიანის გადაწყვეტილებას  
(გაიზიაროს რაღაც ისეთი, რაშიც ეჭვი ეპარება)  
კონფორმულობა უდევს საფუძვლად.



დაფიქრდით, როგორ შეიძლება ეს აღმოჩენა უკავშირდებოდეს ტროლებისა და ბოტების  
საქმიანობას? თქვენი პოზიცია დაასაბუთეთ.



**კონფორმულობა** – ადამიანის მიდრეკილება, მოერგოს  
ჯგუფის ან სოციალური გარემოს სხვა წევრების ქცევებს,  
განწყობებსა და ღირებულებებს. სოციალური ქცევის  
ტიპი, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა, მოვლენათა,  
ნორმატიული დანაწესებისა და შესაბამისი წესრიგის,  
მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების პასიური  
მიღება.



## სავარჯიშო № 5

2018 წლის მონაცემებით, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოსა და უკრაინაში, საგრძნობლად გახშირდა წითელათი ინფიცირების შემთხვევები, დაიღუპა რამდენიმე ადამიანი. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც მოიცავდა 2014-2017 წლებში აშშ-ის სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ დეზინფორმაციულ პოსტებს წითელას ვაქცინაციის შესახებ. კვლევის მიხედვით, ამ პოსტებს უმეტესად რუსეთთან დაკავშირებული ტროლები და ბოტები აქვეყნებდნენ. იმსჯელეთ, რა შეიძლება იყოს მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელების მიზანი? რატომ?



## სავარჯიშო № 6

არსებობს მოსაზრება, რომ ხშირად ყალბ ინფორმაციას არა რაღაც კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენაში საზოგადოების დარწმუნების, არამედ ზოგადად ინფორმაციის მიმართ უნდობლობის დამკვიდრების მიზნით ავრცელებენ, რათა შემდგომში საზოგადოებას ველარც ფაქტებით დასაბუთებულმა ამბებმა დაუპრუნოს ნდობა.



მაგალითად, როდესაც სოციალურ გვერდებზე სპეციალურად შექმნილ ჯგუფებში მრავალი ყალბი ამბავი ვრცელდება, სრულიად სხვადასხვა თემაზე, ყალბი ინფორმაციის უსაზღვრო ნაკადი ერთი მხრივ რეალურად მნიშვნელოვანი საკითხებისაგან საზოგადოების ყურადღების გადატანას იწვევს სკანდალურ ისტორიებზე, მეორე მხრივ კი, რადგან მსაგავსი ინფორმაციების უდიდესი ნაწილი დამახინჯებული ან გამოგონილია, აჩენს ზოგადად ამბების მიმართ უნდობლობას.

**დაფიქრდით, რატომ ცდილობენ დეზინფორმაციის გამავრცელებლები, ადამიანები ინფორმაციის მიმართ ნიჰილისტურად განაწყონ?**



## სავარჯიშო № 7

2016 წელს ოქსფორდის ლექსიკონმა წლის სიტყვად დაასახელა პოსტსიმართლე. პოსტსიმართლის თეორიის მიმდევრების მოსაზრებით, პოლიტიკა და მედია იმდენად პოლარიზებული გახდა, რომ მოქალაქეები ნებისმიერ ფაქტს, რომელსაც თავად არ ეთანხმებიან, უყოყმანოდ უარყოფინებენ.



გაეცანით ამ ტერმინის განმარტებას, დაფიქრდით და იმსჯელეთ, თუ გახსენდებათ მსგავსი შემთხვევები? ვის შეიძლება აინტერესებდეს საზოგადოებაში პოსტსიმართლის განწყობის დამკვიდრება? რატომ? თქვენი აზრით, როგორ ახერხებენ ამას? რა შედეგის გამოწვევა შეუძლია პოსტსიმართლეს?

„პოსტსიმართლე“ არის ფენომენი, რომლის დროსაც „ოპიტეტური ფაქტები ბევრად უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ემოციები და პირადი მოსაზრებები“. პოსტსიმართლის განწყობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი ორ ინტერპრეტაციას შორის უპირატესობას ანიჭებს არა იმას, რომელიც უფრო სანდოა, არამედ იმას, რომელიც უფრო მეტად სასურველია მისთვის.



### სავარჯიშო № 8

დეზინფორმაციის გავრცელების გზებს შორის, ტროლებისა და პოტების გარდა, არის ე. წ. გულწრფელი გამზიარებელი, რომელიც არ ამონებს ინფორმაციას. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება გახდეს „გულწრფელი გამზიარებელი“? როგორ ავირიდოთ თავიდან ეს როლი? როგორ უკავშირდება ტროლებისა და პოტების საქმიანობა კონფორმულობას? პოსტსიმართლეს?



### სავარჯიშო № 9

2018 წელს ფეის-ბუქზე გავრცელდა სტატუსი, თითქოს ირანელი მოქალაქეები თბილისის ერთ-ერთ უბანში მართლმადიდებლური ტაძრის ზარების რეკვამ შეაწუხა და 112-ს მიმართეს, რათა ტაძარს ზარების რეკვა შეეწყვიტა. სტატუსის ავტორი ირნმუნებოდა, რომ ზარების ხმა ეკლესიიდან მართლაც აღარ ისმოდა. ამ სტატუსმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, მას ძალიან ბევრი უარყოფითი კომენტარი მოჰყვა და უამრავმა ადამიანმა გააზიარა.



**Share 8.8K**

02 სექტ 2018 21:43 • 119022

ირანელის 112 ში დაურევიათ ვაშლიჯვარის ეკლესის ზარების ხმა ვაწულების და იმ დღის მერა აღარ რეაქტ.

სოციალური ქსელის მომზადებელი ფეისბუქს პირად გვერდზე წერს:

„რაღაც მოგვაძლოთ, რა მასა რამდენიმე დღის წინ მოხდა და დღესც გული ბალის დამტკიცებული მაქს.“

სოციალური ქსელის მომზადებელი სამოსამართის ტაძარი ერთი ამავე ატყვევა მატული. მწევლის (გაუცემული).

თავისი აზრი მომიტონა მისმამომა 112 ში დაურევიათ ვაშლიჯვარის ზარების ხმა ვაწულების და ხმა საწილების მიზანით. ხოლო მოგიიღ მასწავლით და სამოსამართის მისახლებულის (რესტრისტრი) წერტილში დასტურებით, თავი შეიცვალა.

იმ დღის შემდეგ ვაშლიჯვარის ეკლესის ზარები:

კონტაქტი შეტყობინების და გადასახარების შესახებ  
რა მიზანის და გადასახარების შესახებ?

უურნალისტებმა გადაწყვიტეს, გამოეძიებინათ ეს შემთხვევა. აღმოჩნდა, რომ 112-ში მსგავსი ზარი არასოდეს შესულა. ამასთან, ტაძრის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომ ზარებს კვლავინდებურად რეკავენ საეკლესიო რიტუალების ჩატარებისას.

დაფიქრდით, რა მიზნით გაავრცელეს ეს დეზინფორმაცია, რა შედეგებზე იყო იგი გათვლილი? ვის მიადგა ზიანი? ვის ინტერესში შეიძლება შედიოდეს მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება? რა კავშირია დეზინფორმაციის გავრცელებასა და პოსტსიმართლეს შორის?



### სავარჯიშო № 10

2020 წლის დასაწყისში სოციალურ მედიაში გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს Covid-19-

ის დამარცხება ცხელი ან მდუღარე წყლის დალევით შეიძლება, რაც არა მარტო სიმართლეს არ შეესაბამება, არამედ ფრიად სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ზოგიერთებმა ცადეს ამ ხერხის გამოყენება, რასაც, სამწუხაროდ, მათი ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგი მოჰყვა. რამდენიმე მათგანს ამის გამო სამედიცინო დახმარება დასჭირდა. ამ ამბავს სოციალურ ქსელში თბილის დამწრობის ცენტრის ხელმძღვანელიც გამოეხმაურა.

კიდევ რა დეზინფორმაცია გახსენდებათ კორონავირუსთან დაკავშირებით? რა მიზნით ვრცელდებოდა ეს დეზინფორმაციები? ვის ინტერესში შეიძლება შედიოდეს ეს?



Guga Kashibadze

დასახლებულებისა 2 წლის წილი



Covid-19 კორონავირუსს ადუდებული წყლის დალევა (სულმინუობებულად) რამდენად გრძელია არ ვიცი, მაგრამ ტუჩების, ენის დამტკიცებას რო იწვევს დამჯერება.




### სავარჯიშო № 11

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის შეიარაღებული ძალების უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსული არხები ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, თითქოს უკრაინის პრეზიდენტმა დატოვა ქვეყანა. გავრცელებული დეზინფორმაციის საპა-


სუხოდ ვოლოდიმირ ზელენსკიმ რამდენიმე ვიდეომიმართვა ჩაწერა კიევის ცენტრიდან და მთელ მოსახლეობას უჩვენა, რომ სინამდვილეში არც ქვეყნიდან წასვლას აპირებდა და არც – დანებებას.

დაფიქრდით, რატომ ცდილობდნენ პრო-პაგანდისტული არხები ან მათთან დაკავშირებული სოციალური ქსელები მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელებას?



### სავარჯიშო № 12

დეზინფორმაციას ზოგჯერ ადამიანებში გარკვეული ემოციების გამოსაწვევად ავრცელებენ. გაუცანით ემოციების ბორბალს და გაიხსენეთ, აյ ჩამოთვლილი ემოციებიდან რომელი გამოუწვევია თქვენთვის ნაცნობ დეზინფორმაციას. თქვენი აზრით, რატომ ცდილობენ დეზინფორმაციის გამავრცელებლები ადამიანთა ემოციებით მანიპულირებას?



### სავარჯიშო № 13

გაეცანით ვიდეოს „STOP STEREOTYPES AND DISCRIMINATION – THINK FOR YOURSELF“ და იმსჯელეთ, რა იყო ვიდეოს მთავარი პერსონაჟების განცდებისა და ქმედებების მიზეზი? რა იწვევს მსგავს განწყობებს?



### სავარჯიშო № 14

გაეცანით ნიგერიელი მწერლის, ჩიმამანდა ინგოზი ადიჩის, გამოსვლის ფრაგმენტებს და იმსჯელეთ, ადამიანის/საზოგადოების შეცდომაში შეყვანა მხოლოდ მცდარინით მაცნებას შეუძლია? როგორ მოქმედებს ცალმხრივი ისტორიები ადამიანების დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე? როგორ უნდა დავიცვათ თავი მსგავსი გავლენებისგან?



„როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად ჩავედი, 19 წლის ვიყავი. ჩემი ამერიკელი მეზობელი გაოცებული იყო. მეკითხებოდა, ასე კარგად სად ისწავლე ინგლისურიო და დაიბნა, როდესაც ვუპასუხე, რომ ნიგერიაში ინგლისური სახელმწიფო ენაა. იმასაც ვარაუდობდა, რომ გაზეურის გამოყენება

არ ვიცოდი. ყველაზე მეტად კი ეს ჩამრჩა გონებაში: სანამ მნახავდა, მანამდეც კი ვეცოდებოდი. მას წინასწარ გაუჩნდა ჩემდამი, როგორც აფრიკელისადმი, ერთგვარი სიბრალულის გრძნობა და მზრუნველობის სურვილი. ჩემს მეზობელს ჰქონდა მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაცია აფრიკის შესახებ, მხოლოდ იქ განვითარებულ კატასტროფულ მოვლენათა შესახებ. ამგვარი სტერეოტიპული ხედვით შეუძლებელი იყო, აფრიკელები რამით მისი მსგავსნი ყოფილიყვნენ; შეუძლებელი იყო, ეგრძნო სხვა რამ, ვიდრე შეცოდებაა, შეუძლებელი იყო ურთიერთობა, როგორც თანასწორ ადამიანთან. ამერიკაში აფრიკელის სტატუსით მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ შევძლი ჩემი მეზობლის უკეთ გაგება. ნიგერიაში რომ არ დავბადებულიყავი და აფრიკის შესახებ ყველაფერი საინფორმაციო საშუალებებით გამეგო, მეც ვიფიქრებდი, რომ აფრიკა არის ადგილი ლამაზი ხედებით, ლამაზი ცხოველებითა და უგუნური ადამიანებით, რომლებიც უაზრო ომებში იბრძვიან, სიღარიბისა და შიდსისგან იხოცებიან, საკუთარი აზრის გამოხატვა არ შეუძლიათ და ელიან, როდის გადაარჩენენ მათ კეთილი თეთრკანიანები. ამგვარი სუბიექტური დამოკიდებულება აფრიკის მიმართ უპირველესად დასავლური ლიტერატურიდან მოდის. მაგრამ აქვე დავძენ, რომ მეც დამნაშავე ვარ სუბიექტური დამოკიდებულების გამო. რამდენიმე წლის წინ მექსიკას ვენვიე. იმ პერიოდში ამერიკაში საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო და მიგრაციის შესახებ დებატები მიმდინარეობდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამერიკაში, იმიგრანტი მექსიკელების სინონიმი გახდა. მექსიკელებზე უამრავ ისტორიას მოისმენდით: როგორც ცდილობდნენ ჯანდაცვის სისტემის გაფცევნას, როგორ მოიპარებოდნენ საზღვარზე, როგორ აპატიმრებდნენ მათ საზღვართან და ა. შ. მახსოვს, პირველ დღეს გვადალაპარას ქუჩებში ვსეირნობდი, ვუყურებდი სამსახურისკენ მიმავალ ადამიანებს, როგორ ახვევდნენ ტორტილას ბაზარში, როგორ იცინოდნენ. თავიდან ცოტა გავოცდი, შემდეგ კი სირცევილის გრძნობამ მომიცვა. გავაცნობიერე, რომ იმდენად ვიყავი მექსიკის შესახებ საინფორმაციო საშუალებათა გავლენის ქვეშ, რომ მათ მხოლოდ საძაგელ იმიგრანტებად აღვიქვამდი. მექსიკელებზე სტერეოტიპები დავიჯერე და საშინლად შემრცხვა საკუთარი თავის. ასე იქმნება სტერეოტიპები: აჩვენე ადამიანებს მხოლოდ ერთი მხარე, მხოლოდ ის მხარე წარმოაჩინე და ის გახდება ერთადერთი მხარე. როგორ გადმოგვცემენ ამ ამბებს, ვინ გადმოგვცემს მათ, როდის და რამდენ ვერსიას, რეალურად ეს ძალაუფლებაზეა დამოკიდებული. ძალაუფლება გაძლევს საშუალებას იმისა, რომ არა მარტო სხვა ადამიანის ისტორიას მოჰყვე, არამედ მის ერთადერთ ისტორიად აქციო. ცალმხრივად დანახული ფაქტები სტერეოტიპებს ქმნის და სტერეოტიპები კი ჭეშმარიტებას არ ემსახურება. ისინი გარკვეულ მოვლენას ერთადერთად აქცივს. ყოველთვის მჯეროდა, რომ შეუძლებელია, გქონდეს სრულფასოვანი წარმოდგენა ქვეყანასა თუ ადამიანზე, თუ სრულად არ იცი მისი ისტორია. ცალმხრივად წანახული მოვლენის შედეგი კი ესაა: ადამიანებს ღირსებას ართმევს, მათ თანასწორად აღქმას ართულებს. ისტორიები მნიშვნელოვანია, ბევრი მათგანია მნიშვნელოვანი. ისტორიებს ღვაძლის დასათესად და ადამიანთა დასაკნინებლად იყენებენ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მათი გამოყენება ადამიანების ღირსების შესალახად, თუმცა შელახული ღირსების აღდგენა შესაძლებელია, თუ უარს ვეტყვით ცალმხრივად გაშუქებულ მოვლენებს. როდესაც გავიაზრებთ, რომ ცალმხრივი ისტორია არცერთ ქვეყანას არ აქვს, ერთგვარი სამოთხე დაისადგურებს.“




### სავარჯიშო № 15

უყურეთ ვიდეოს სახელწოდებით „All That We Are“. იმსჯელეთ, რა ნიშნით იყო ეს ჯგუფები დაყოფილი? რა იწვევდა მათ გადაჯგუფებას? რამდენად მოსალოდნელი იყო მოვლენათა ამგვარი განვითარება? რა დაეხმარათ მათ საერთო დამოკიდებულებების ან ისტორიების აღმოჩენაში? რა მოხდებოდა, ამ ადამიანებს რომ არ სცოდნოდათ ერთმანეთის ემოციები? რა შთაბეჭდილებები შეექმნებოდათ ერთმანეთზე?



### სავარჯიშო № 16

დააკვირდით ილუსტრაციებს და იმსჯელეთ, რა არის მათი მთავარი სათქმელი?



## 3. ფაქტი და მოსაზრება



### სავარჯიშო № 18

#### ფაქტი და მოსაზრება

გაეცანით ფაქტისა და მოსაზრების განმარტებას და ნაიკითხეთ სტატია. სამუშაო რვეულში მოინიშნეთ, სტატიის რომელი ნაწილი გადმოგვცემს ფაქტს და რომელი – მოსაზრებას. დაფიქრდით, რატომა მნიშვნელოვანი, შეგვეძლოს ამ ორის ერთმანეთისგან განსხვავება?

ფაქტი	მოსაზრება
ფაქტი არის ოპიტეტური რეალობა, ის, რაც მართლაც მოხდა და მტკიცდება დაკვირვების ან კვლევის შედეგად მოპოვებული მასალით. ფაქტი არ არის სადაო, ის ასახავს იმას, რაც შეიძლება გადამოწმდეს ან დამტკიცდეს.	მოსაზრება არის ადამიანის განაცხადი, ის ასახავს თვალსაზრისას ან რწმენას რაიმეს შესახებ, რაც სუბიექტურ აღქმას, ვარაუდს ან პირად შეხედულებებს ეფუძნება, რის გადამოწმებაც შეუძლებელია.

## ჯეიმს ვების კოსმოსური ტელესკოპის გაშვება

25 დეკემბერი აღმოჩნდა ის დღე, რომელსაც სამეცნიერო სამყარო ათ-წლეულები ელოდა. კაცობრიობის ისტორიაში უმძლავრესი კოსმოსური ტელესკოპი, ჯეიმს ვები, როგორც იქნა, გაუშვეს. NASA-მ და კანადისა და ევროპის კოსმოსურმა სააგენტოებმა ამ ტელესკოპზე მუშაობა 1996 წელს დაიწყეს. მისი გაშვება თავდაპირველად 2007 წელს იგეგმებოდა და 500 მილიონი დოლარი ჯდებოდა. ტელესკოპის გაშვება მას შემდეგ მრავალჯერ გადაიდო, საბოლოოდ კი მისმა ღირებულებამ 10 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. მეცნიერთა განცხადებით, ამდენი გადადება და ხარჯი ნამდვილად ღირდა, რადგან ჯეიმს ვები ისეთ რამეებს გააკეთებს, რაც ჰაბლის კოსმოსურ ტელესკოპს არ შეეძლო.



ინჟინერის ეს საოცრება დაგვეხმარება, პასუხი გავცეთ ფუნდამენტურ კითხვებს სამყაროს შესახებ, გავიხედოთ ძალზე შორეულ წარსულში, 13 მილიარდი წლის წინ.

ვებს ორი მთავარი სამეცნიერო მისია აქვს, რომელთა შესრულებას მისი დროის რესურსის 50 პროცენტი დასჭირდება. პირველია კოსმოსური ისტორიის ადრეული ეტაპების კვლევა, ძალზე შორეულ წარსულში ყურება, დიდი აფეთქებიდან სულ რამდენიმე მილიონი წლის შემდგომ პერიოდში.

ასტრონომებს სურთ იხილონ, როგორ წარმოიქმნა პირველი ვარსკვლავები და გალაქტიკები და როგორ განვითარდა ისინი დროთა განმავლობაში.

მეორე მთავარი მიზანია ეგზოპლანეტების, ანუ მზის სისტემის მიღმა არსებული პლანეტების აღმოჩენა. მათი ატმოსფეროს შესწავლის გზით, ვები ასევე გამოიკვლევს მათზე სიცოცხლის არსებობის პოტენციალს.

ვების მთავარი იმედი მისი ინფორმაციით შესაძლებლობებია.

როგორც ხედავთ, 2021 საკმაოდ წარმატებული წელი იყო მეცნიერებაში. რა თქმაუნდა, თანამედროვე მეცნიერება დღიდან დღემდე წინ მიიწვევს და ეჭვგარეშეა, რომ 2022 წელს კიდევ უფრო მეტი აღმოჩენა და მიღწევა გველოდება. ყოველ ასეთ მოვლენას 1tv.ge მომდევნო წელსაც ყოველდღიურად, დეტალურად გიამბობთ.

### სტატიის ავტორი – მიხეილ ჭაბუკაშვილი



#### სავარჯიშო № 19


გაეცანით დეზინფორმაციისგან დასაცავად უურნალისტების მიერ შემუშავებულ რჩევებს, თქვენ რას დაამატებდით?

1. ყოველთვის მოიძიეთ ინფორმაციის რამდენიმე წყარო. ეს შეიძლება იყოს, როგორც მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, ასევე უურნალისტთა და ექსპერტთა სტატიები სოციალურ ქსელში, მხოლოდ ინფორმაციის წყარო უნდა იყოს რამდენიმე.
2. არ შეიძლება ნაკლებად ცნობილი საიტების ინფორმაციაზე დაყრდნობა. მოიძიეთ იგივე ინფორმაცია სანდო,



სერიოზულ და პროფესიულ საინფორმაციო ვებგვერდებზე.

3. სოციალურ ქსელებში ყალბი ინფორმაციის განთავსების უფრო დიდი ალბათობა არ-სებობს. ხშირად პოსტები ჩნდება ცარიელი, სოციალურ ქსელებში ახლადშექმნილი გვერდებიდან, ან იმ ანგარიშებიდან, რომლებიც ახალი ამბების ცნობილ მედია-სა-შუალებებად ასაღებენ თავს, მაგრამ სინამდვილეში ყალბია.
4. თუ არ ხართ დარწმუნებული ინფორმაციაში, არ გააზიაროთ ის, რათა უნებურად არ გახდეთ დეზინფორმაციის გამავრცელებელი.
5. ენდეთ საკუთარ თავს და ყური მიუგდეთ საღ აზრს. მოაზროვნე ადამიანით მანიპულირება ძნელია.



შეაფასეთ საკითხთან დაკავშირებული თქვენი ამჟა-  
მინდელი ცოდნა. დაფიქრდით, რა დაგეხმარათ ან რამ  
შეგიშალათ ხელი ცოდნის გაღრმავებაში, სამომავლოდ რას  
გაითვალისწინებთ?

## ლექსიკონი

**აბრაამული რელიგიები** (სახელწოდება მომდინარეობს ბიბლიური მამამთავრის, აბრაამის სახელიდან) – ასე უწოდებენ იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს, რელიგიებს, რომელებიც ერთი ღმერთის იდეას ქადაგებენ (მონოთეიზმი) და ბიბლიურ წარმოდგენებს ეფუძნებიან (სამყაროს შექმნა უფლის მიერ, მსოფლიო წარლვნა, აბრაამის, მოსესა და სხვა პატრიარქებისა და წინასწარმეტყველების ცხოვრება და ა. შ.).

**აგრარული საკითხი** – მიწაზე საკუთრების რეგულირების საკითხი. სხვადასხვა დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აგრარული საკითხის გადაწყვეტა მიზნად ისახავდა მიწის საკუთრების ფორმის ცვლას – ძველი მფლობელების ნაცვლად ახალი მესაკუთრების ფორმირებას, მშვიდობიანი ან არამშვიდობიანი მეთოდებით.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია** – მიიღეს რომში 1950 წლის 4 ნოემბერს. მომდევნო წლებში მასში შევიდა ცვლილებები, რამაც გააფართოვა მისი უფლებამოსილებები. კონვენცია შესასრულებლად სავალდებულოა ხელმომწერი (ევროპული) ქვეყნებისათვის. საქართველო კონვენციას 1999 წლის 27 აპრილს შეუერთდა.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** („სტრასბურგის სასამართლო“) – დაკომპლექტებულია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებით, რომელსაც 6 წლის ვადით ირჩევენ. სასამართლო განიხილავს იმ საქმეებს, რომელთა შესახებაც კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლო სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მომჩივან მხარეს არ აკმაყოფილებს.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** – მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. საქართველომ დეკლარაციის რატიფიცირება 1991 წლის 15 სექტემბერს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მალევე მოახდინა.

**ადამიანის უფლებები (human rights)** – წარმოადგენს მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის ძირითად თავისუფლებებს (fundamental freedoms) და ქმნიან მათი აღსრულების გარანტიებს.

**არიული რასა** – XIX-XX საუკუნეებში არსებული თეორია, რომელზე დაყრდნობითაც გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები ამტკიცებდნენ, რომ გერმანელები რჩეულ „არიულ რასას“ ეკუთვნიან. სინამდვილეში „არიული რასა“ არ არსებობს, არსებობს ინდოარიული ენები (ინდური, სპარსული, ქურთული და ა. შ.), რომელსაც გერმანული ენა არ მიეკუთვნება.

**ასერტულობა** – ადამიანის უნარი, თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი, სხვისი შეურაცხყოფის გარეშე, და სხვებთან დაამყაროს ეფექტიანი კომუნიკაცია. ამ დროს ადამიანი პატივს სცემს საკუთარ თავს და სხვებს. ასერტულობა ადამიანს სხვებთან ღია კომუნიკაციის საშუალებას აძლევს. ასერტული ქცევა ადამიანს აძლევს საშუალებას, დაიცვას საკუთარი პოზიცია მაშინაც კი, როცა სხვებს განსხვავებული აზრი აქვთ.

**აქადი** – ტერიტორია მესოპოტამიაში, სადაც ძვ. წ. 2300 წლიდან ჩამოყალიბდა მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი იმპერია.

**აშოგას რეფორმები** – ინდოეთში ძვ. წ. III საუკუნეში მაურიების დინასტიის წარმომადგენლის, აშოგას (ძვ. წ. 268 – 232) მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დამკვიდრების ერთ-ერთი უძველესი მაგალითია. იმპერიაში

ახალი ოფიციალური რელიგიის, ბუდიზმის შემოღების მიუხედავად, ყველა რელიგიის მიმდევარს მიეცა რწმენის თავისუფლება; შეიქმნა მოხელეთა სპეციალური გუნდი, რომელთა საქმიანობის მიზანიც ყველა ადამიანის (მათ შორის, დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონეთა, ასევე პატიმრების) უფლებების დაცვა იყო; სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს მიზნად არაძალადობა, ურთიერთპატივისცემა და ტოლერანტობა გამოცხადდა.

**ბაბილონი** – ქალაქი მესოპოტამიაში (ძვ. წ. III ათასწლეულის მე-2 ნახევარი – ძვ. წ. IV საუკუნე). თავიდან აქადის იმპერიის შემადგენლობაში იყო, შემდეგ გაძლიერდა და ძვ. წ. II ათასწლეულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში წარმოადგენდა შუამდინარეთის ცენტრს და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდეს ქალაქს. გაანადგურეს ასურელებმა ძვ. წ. 689 წელს.

**ბარბაროსი** – ველურის აღმნიშვნელი ტერმინი ძველ ბერძნულ სამყაროში. ცივილიზებული საზოგადოების – „ელინების“ – ანტონიმი.

**ბისმარკი** – გერმანიის იმპერიის კანცლერი ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკი (1815 – 1898), რომელმაც ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებასა და გაძლიერებას. მის მიერ გატარებული რეფორმებიდან აღსანიშნავია სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები (საყოველთაო განათლების სისტემის, სოციალური დაცვის მექანიზმების (ხელფასიანი შვებულება, სოციალური დაზღვევა და ა. შ.), რის გამოც მას ხშირად სოციალური სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთ შემქმნელად მიიჩნევენ).

**განდი** (მოჰანდას კარამჩანდ განდი – 1869 – 1948) – ინდოეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერი, რომელმაც პირველად დაიწყო ინდოეთის მოსახლეობის არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის კამპანია ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ. ინდოელმა ხალხმა მას ერის მამა – „დიადი სული“ (მაჰათმა) უწოდა. განდის მშვიდობიანი ბრძოლის მეთოდები დღეს მთელ მსოფლიოში გამოიყენება.

**გილდიები და ამქრები** – გილდიები (კორპორაციები) – შუა საუკუნეების ევროპის ქალაქებში ვაჭრების გაერთიანებები, ამქრები (სპარს. ჰამქარ – თანამოსაქმე) – ერთი პროფესიის მქონე მოქალაქეების (მჭედლები, მშენებლები და ა. შ.) გაერთიანებები. ამ ტიპის ორგანიზაციებმა ხელი შეუწყო შუა საუკუნეების ქალაქებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების გაძლიერებას.

**გლეხთა ომი გერმანიაში (1524-1526)** – გლეხების აჯანყება კათოლიკური ეკლესიისა და მსხვილი გერმანელი ფეოდალების წინააღმდეგ. აჯანყებულთა ოდენობამ 300 ათასს მიაღწია. აჯანყების ჩახშობა ფეოდალებმა დიდი წვალებით მოახერხეს.

**გლობალიზაცია (ფრანგ. global – საყოველთაო)** – ტერმინი საყოველთაოდ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოიყენება და მოიაზრებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს. აღნიშნავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის დაახლოების ტენდენციას, როცა განვითარების პროცესში ყველა სფერო და რეგიონი სულ უფრო მეტად ხდება ერთმანეთზე დამოკიდებული. დისკუსია იმასთან დაკავშირებით, გლობალიზაცია კარგია თუ ცუდია, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს და საკმაოდ რადიკალური ფორმებითაც, თუმცა მის არსებობას არავინ უარყოფს.

**გლობალური მოქალაქეობა (მსოფლიოს მოქალაქეობა)** – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს არა იურიდიულ სტატუსს (მაგალითად, როგორიცაა „მსოფლიო პასპორტის“ ფლობა), არამედ ადამიანთა დამოკიდებულებას პლანეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე პროცესების მიმართ, როცა ადამიანები კაცობრიობის წევრებად

მოიაზრებენ თავს და მონაწილეობენ საზოგადოების ცხოვრებაში, რათა პლანეტა უფრო მშვიდობიანი, მდგრადი და სამართლიანი გახდეს.

**ფეზინფორმაცია** – გულისხმობს როგორც მცდარ, ისე შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც იქმნება, ქვეყნდება და ვრცელდება მიზანმიმართულად, რათა საზოგადოებას ზიანი მიაყენოს და სამიზნე აუდიტორიაში გაურკვევლობა და დაბნეულობა დანერგოს.

**ევროპის საბჭო** – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შედგება ევროპის 45 სახელმწიფოსგან (ყველა ევროპული ქვეყანა, ბელორუსისა და რუსეთის ფედერაციის გარდა). ორგანიზაციის მიზნებია: ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზრუნველყობის დაცვა; ევროპის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძებნა. საქართველო ევროპის საბჭოს წევრია 1999 წლიდან.

**ელინები** – ძველი ბერძნები ასე უწოდებდნენ საკუთარ თავს, რითაც განსხვავდებოდნენ ყველა არაბერძნისაგან – ბარბაროსისაგან.

**ემპათია** – სხვა ადამიანის თვალთახედვის, მისი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და გაზიარების უნარი.

**თავისუფლების დიდი ქარტია (Magna Carta Libertatum)** – ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ინგლისის მეფესა და მის წინააღმდეგ აჯანყებულ ინგლისელ ბარონთა შორის 1215 წელს. ხელშეკრულებით შეიზღუდა მეფის ძალაუფლება და საფუძვლად დაედო ინგლისში საპარლამენტო სისტემის შექმნას. ხელშეკრულება მიიჩნევა სამართლებრივი სახელმწიფოსა და პიროვნების უფლებების დასაცავად შექმნილ ერთ-ერთ უპირველეს დოკუმენტად.

**იდენტობა** – ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული სუბიექტური კონცეფცია; საკუთარი თავის იგივეობის განცდა; ტერმინი გამოიყენება ნებისმიერი ტიპის ჯგუფის მიმართ მიკუთვნებულობის გამოსახატავად.

**ინდიელების რეზერვაციები** – ამერიკის ძირძევლი მოსახლეობის ტერიტორიები, სადაც მოქმედებს ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული კანონმდებლობა, რომელსაც აშშ-ის საერთო-ეროვნული კანონმდებლობა აღიარებს და პატივს სცემს. ასეთივე რეზერვაციები არსებობს ბრაზილიაში, კანადაში, კოლუმბიაში, ავსტრალიაში.

**ინტერპოლი**, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICPO) – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს წევრი ქვეყნების (194 სახელმწიფო) პოლიციების თანამშრომლობის ხელშეწყობას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ისნის „კარავი“** – დაწესებულება, რომლის დაარსებაც მოითხოვა ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილმა XII საუკუნის ბოლოს, თამარის მეფობის პერიოდში. მას უნდა ჰქონოდა საკანონმდებლო უფლებები და დაკომპლექტებული უნდა ყოფილიყო დიდგვაროვნებისა და ქალაქების მაღალ ფენათა წარმომადგენლებისგან. ბევრი მკვლევარი „კარვის“ დაარსებას საქართველოში პარლამენტარიზმის დამკვიდრების პირველ მცდელობად მიიჩნევს.

**კონვენცია** – სახელმწიფოთა მიერ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დადგებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის შესრულება სავალდებულოა მისი ხელმომწერი ქვეყნისათვის.

**კონფორმულობა** (კონფორმიზმი) – ადამიანების მიდრეკილება, მოერგონ ჯგუფის ან სოციალური გარემოს სხვა წევრების ქცევებს, განწყობებსა და ღირებულებებს.

**კოსმოპოლიტიზმი** – მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომელიც კაცობრიობის ინტერესებს ცალკეული ერის ინტერესებზე მაღლა აყენებს. ისტორიის მანძილზე კოსმოპოლიტიზმის რეალიზების მაგალითებს წარმოადგენდნენ ძველი იმპერიები (ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფო, რომის იმპერია), ასევე დიდი რელიგიები (ქრისტიანობა, ისლამი). კოსმოპოლიტიზმს ხშირად უპირისპირებენ ნაციონალიზმსა და ერი-სახელმწიფოს იდეას (როცა სახელმწიფოს შემქმნელად და ერთადერთ შემადგენელ სუბიექტად მხოლოდ ერთი ერი მოიაზრება, რომლის წევრია ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა).

**კულაკები** (რუს. „კულაკ“ – მუშტი) – მდიდარი გლეხების ფენა, რომელსაც რუსეთის იმპერია სოფელში თავის საყრდენად მიიჩნევდა. საბჭოთა ხელისუფლება კულაკებს იდეოლოგიურ მტრებად მოიაზრებდა და სრულად გაანადგურა იგი (სხვადასხვა წყაროთი, რეპრესიები 14 მილიონ გლეხს შეეხო).

**ლულუბელები** – დასავლეთ ირანში, ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები ხალხები, რომლებსაც მესოპოტამიელები (შუმერები, აქადელები, ბაბილონელები) ველურ ხალხებად მიიჩნევდნენ.

**მესოპოტამია** – იხ. შუამდინარეთი.

**მოქალაქეობა** – იურიდიულად გაფორმებული კავშირი ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქისა და სახელმწიფოს უფლებებსა და მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ.

**მოქალაქეობა დაბადებით** – იურიდიული ნორმა, რომლის თანახმადაც, შესაბამისი ქვეყნის მოქალაქე ხდები, თუ ამ ქვეყანაში ხარ დაბადებული. უპირობოდ ასეთი მიდგომა ძირითადად ამერიკის კონტინენტის ქვეყნებშია გავრცელებული, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში კი გარკვეული წინაპირობები და მოთხოვნები არსებობს.

**მოქალაქეობა ინვესტიციით** – იურიდიული ნორმა, რომლის თანახმადაც, თუ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელეთ ამ ქვეყანაში, შეიძლება, მიიღოთ ამ ქვეყნის მოქალაქეობა. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ეს თანხა 100 ათასი დოლარიდან 2,5 მილიონ ევრომდე მერყეობს.

**მოქალაქეობა ნატურალიზაციით** – იურიდიული ნორმა, რომლის თანახმადაც, მოქალაქეობის მინიჭება დამოკიდებულია იმაზე, რა ხნის განმავლობაში ცხოვრობთ რომელიმე ქვეყანაში და იცით თუ არა ამ ქვეყნის კანონები და ენა. ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა მოითხოვს მოქალაქეობის მიღების მსურველის მიერ ტესტის ჩაბარებას, ასევე მორალური კრიტიკუმების დაკმაყოფილებას (მაგალითად, რომ პრეტენდენტი არ არის მიღრეკილი ალკოჰოლიზმის ან აზარტული თამაშებისაკენ). საქართველოში ნატურალიზაცია ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოქალაქეობის მინიჭებით.

**მოქალაქეობაოვახისმიხედვით** – იურიდიული ნორმა, რომლის თანახმადაც, მოქალაქეობის მინიჭება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან თქვენი მშობლები. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ამავე დროს მოითხოვს, რომ უცხოეთში დაბადებული ბავშვის მშობლებმა გარკვეული დროის მანძილზე შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ საკუთარი სახელმწიფოს წარმომადგენლობას – საელჩოს/საკონსულოს (გერმანია, შვეიცარია), ზოგი ქვეყანა ამას არ ითხოვს (საფრანგეთი, იტალია);

**მოქალაქეობა ქორნინებით** – იურიდიული ნორმა, რომლის თანახმადაც, თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეზე დაქორნინდით, შეგიძლიათ, ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოთ. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო მოითხოვს, რომ მოქალაქეობის მომთხოვნი პირი გარკვეული

პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდეს ამ ქვეყანაში, ასევე იცნობდეს ქვეყნის კანონმდებლობასა და კულტურას და იცოდეს ამ ქვეყნის ენა.

**მსოფლიოს მოქალაქე – იხ. გლობალური მოქალაქეობა.**

**მუჟამედ ალი** (დაბადების სახელი – კასიუს კლეი, 1942 – 2016) – ამერიკელი მოკრივე, მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური ჩემპიონი ნახევრად მძიმე და მძიმე წონაში, XX საუკუნის 60-იან წლებსა და 70-იანი წლების დასაწყისში. სახელი გამოიცვალა ისლამის მიღების შემდეგ.

**ნემცები** (სლავ. „ნემო“ – მუნჯი) – სლავების მიერ გერმანელებისათვის შერქმეული მეტსახელი. აღნიშნავდა უცხოს (როგორც „ლულუბელი“ და „ბარბაროსი“).

**ნიურნბერგის კანონები** – გერმანიის ნაცისტური პარტიის მიერ 1935 წელს მიღებული რასისტული კანონები (მაგალითად, „გერმანიის სისხლისა და გერმანიის ლირსების დაცვის კანონები“), რომლებიც კრძალავდა იუდეველებსა (ებრაელებს) და გერმანელებს შორის ქორწინებას, ებრაელებს არ ცნობდა ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებად (იკრძალებოდა ებრაელის დასაქმება განათლების ან ვაჭრობის სისტემაში, საჯარო სამსახურში და ა. შ.).

**ორგანული კანონი** – კანონი, რომლის მიღების ვალდებულებაც არსებობს კონსტიტუციაში (მაგალითად, თუ კონსტიტუციაში წერია, რომ რაიმე სფერო შესაბამისი კანონით უნდა დარეგულირდეს, ასეთი კანონი ორგანულად ითვლება). ორგანული კანონი იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩვეულებრივი კანონი.

**ორმაგი მოქალაქეობა** – იურიდიული ნორმა, რომლის თანახმადაც ადამიანი ერთდროულად შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე. ზოგი ქვეყანა მხოლოდ ერთი ქვეყნის მოქალაქეობას აღიარებს და სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებით წინა მოქალაქეობა უქმდება. ზოგ ქვეყანაში, პირიქით, ორმაგი მოქალაქეობა არსებობს.

**პატრიოტიზმი** (ბერძ. „პატრის“ – მამული, სამშობლო) – სამშობლოს სიყვარული, მისი დაცვა, რაც დაფუძნებულია საკუთარი ქვეყნისა და თანამემამულეთა მიმართ ძლიერ ემოციურ დამოკიდებულებაზე.

**პატრიციები** – ძველ რომში გაბატონებული სოციალური ფენა, რომელიც თავს პლე-ბეებისაგან, ხალხისაგან განასხვავებდა.

**პერსონალურ მონაცემთა დაცვა** – პიროვნებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა გასაჯაროებისაგან. საქართველოში ამ პროცესს ახორციელებს დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

**პლებეები** – ძველ რომში მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე პატრიციები.

**პოლისი** – ქალაქი-სახელმწიფოები ძველ საბერძნეთში.

**პოლიტიკური უფლებები** – ადამიანის უფლებები, რომლებიც გულისხმობს ქვეყნის მმართველობის პროცესში საზოგადოების მონაწილეობას (მაგალითად, მონაწილეობას არჩევნებში, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში). განსაკუთრებით ძლიერდება ბოლო 2-3 საუკუნის მანძილზე და XX საუკუნეში შეუქცევად ხდება.

**პოსტსიმართლე** (პოსტსიმართლის მდგომარეობა) – მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ორ ინტერპრეტაციას შორის უპირატესობას ანიჭებს არა იმას, რომელიც უფრო სანდოა, არამედ იმას, რომელიც უფრო სასურველია მისთვის.

**პროპაგანდა** – გავლენის მოხდენის, მანიპულირების, კონტროლის, წახალისების, ცვლილების გამოწვევისა და დარწმუნების ან სასურველი მოსაზრებების, დამოკიდებულებების, ქმედებებისა თუ ქცევების მიმღებლობის უზრუნველყოფის ხელოვნება.

**რამზეს III** – ეგვიპტის XX დინასტიის (ძვ. წ. 1200 – 1090) ფარაონი, ცდილობდა ეგვიპტის ძველი სიძლიერის აღდგენას. მეცნიერების აზრით, მოკლეს შეთქმულების შედეგად, რომელსაც მისი ერთ-ერთი ცოლი და შვილი ხელმძღვანელობდნენ.

**რელიგიური ომები** – XVI-XVII საუკუნეებში ევროპის მრავალ ქვეყანაში (საფრანგეთში, გერმანიაში და ა. შ.) მიმდინარე ომები პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის.

**სალადინი** (სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი, 1137 – 1193) – ეგვიპტისა და სირიის სულთანი და ნიჭიერი მთავარსარდალი. წარმოშობით ეკუთვნოდა აიუბიდთა ქურთულ არისტოკრატიულ გვარს. წარმატებით ეპრობდა ევროპელ ჯვაროსნებს, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან (თამარ მეფე).

**სამოქალაქო უფლებები** – ადამიანის უფლებები, რომლებიც გულისხმობს ადამიანის ისეთ ძირეულ უფლებებს, როგორიცაა პირადი თავისუფლება, ოჯახისა შექმნის და კერძო საკუთრების უფლება და ა. შ. ადამიანის უფლებებიდან სამოქალაქო უფლებები სხვა უფლებებზე ადრე ვითარდება და, ფაქტობრივად, მისი ისტორია თითქმის კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე გრძელდება.

**სახალხო დამცველი** (ომბუდსმენი) – თანამდებობის პირი, რომელიც იცავს საზოგადოების იმ სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს, რომელთა უფლებებიც შეილახა (განსაკუთრებით სახელმწიფო სტრუქტურების მიერ). საქართველოში სახალხო დამცველს ირჩევს საქართველოს პარლამენტი 5 წლის ვადით და იგი საქმიანობისას აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან – მთავრობისაგან დამოუკიდებელია.

**სლავურიენები** – ინდოევროპული ენების ჯგუფი, რომელიც იყოფა დასავლეთ (პოლონური, ჩეხური, სლოვაკური), სამხრეთ (სერბიულ-ხორვატული, ბულგარული, სლოვენური) და აღმოსავლეთ (რუსული, უკრაინული, ბელორუსული) ენათა შტოებად. ამ ენებზე მოლაპარაკეთა საერთო ოდენობა 300 მილიონზე მეტია.

**სოციალურ-ეკონომიკური უფლებები** – ადამიანის უფლებები, რომლებიც გულისხმობს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური მინიმუმის მიღების (პენსიები, უმუშევართა დახმარება) უფლებები. შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, გაატარონ სათანადო ღონისძიებები ამ მიმართულებით, შექმნან შესაბამისი სისტემები (განათლების, ჯანდაცვის და ა. შ.). სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, ეს უფლებები ყველაზე გვიან ვითარდება (XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და, განსაკუთრებით, XX საუკუნეში).

**სოციალური კონტრაქტი** – ტერმინი პოლიტიკურ ფილოსოფიაში, რომლის მიხედვითაც ადამიანები ქმნიან სახელმწიფოებს და დებენ მასთან „სოციალურ კონტრაქტს“ – ისინი ემორჩილებიან დადგენილ ერთიან წესებს და სამაგიეროდ იღებენ საკუთარი უფლებების დაცვის გარანტიას (თავისუფლება, პირადი და საკუთრების ხელშეუხებლობა, არსებული რესურსებისა და სიმდიდრეების გადანაწილება). ტერმინის ავტორია ფრანგი განმანათლებელი და ფილოსოფოსი უან-უაკ რუსო (1762 წ.). XX საუკუნეში ეს თეორია კვლავ აღორძინდა „სამართლიანობის თეორიის“ სახით.

**სუბ-ნაციონალური** (ქვეეროვნული) – სახელმწიფოს ფარგლებში არსებული მმართველობის დონე (შტატები, მხარეები, თვითმმართველობები), რომელსაც თავისი უფლებები და ვალდებულებები აქვს. შესაძლოა, ქვეყანაში არსებობდეს ერთი, ორი ან მეტი

სუბნაციონალური დონე. მმართველობის დონეებს შორის უფლებამოსილებები გა-დანაწილებულია შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობით.

**სუფრაჟისტები** (ფრანგ. suffrage – ხმის უფლება) – ქალთა მოძრაობა საარჩევნო ხმის უფლებისათვის. ჩაისახა XIX საუკუნეში და განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის დასაწყისში. მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების შედეგად მათ თანდათან შეცვალეს საზოგადოებრივი აზრი და შედეგად ქალებმა მამაკაცთა თანაბარი პოლიტიკური უფლებები მოიპოვეს.

**ტაიპინები**, ტაიპინგის აჯანყება (1850 – 1871) – ჩინეთის იმპერატორისა და ევროპელების წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყება აჯანყება ჩინეთში. მათი ლიდერი ჰონგ სიუკუანი თავს ქრისტეს ძმად აცხადებდა და უპირისპირდებოდა ოფიციალურ ჩინურ იდეოლოგიას – კონფუციელობას. ტაიპინები სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ჩინეთის საიმპერიო ძალებმა, ევროპელთა დახმარებით, ხანგრძლივი ბროლის შემდეგ ჩაახშვეს აჯანყება, რომელსაც, სხვადასხვა მონაცემით, 20-იდან 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

**ტერტულიანე** (ახ. წ. 155 – 220 წლები) – ადრეული ქრისტიანობის წარმომადგენელი თეოლოგი, მწერალი და იურისტი. თავის ნაშრომებში იცავდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების იდეას. მისი შემოტანილია ცნება „ადამიანის ძირითადი უფლებები“. ტერტულიანეს შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის ქრისტიანი მამების (წეტარი ავგუსტინესა და სხვების) ხედვების ჩამოყალიბებაზე.

**შუამდინარეთი** (ბერძ. μέσης ἡμέρα) – გეოგრაფიული რეგიონი მდინარეებს, ევფრატსა და ტიგროსს, შორის. თანამედროვე ერაყისა და აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორია.

**ჩეჩენეთის ომები** (პირველი და მეორე) – 1994 – 1996 და 1999 – 2009 წლებში მიმდინარე ომები რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებსა და ჩეჩენ სეპარატისტებს შორის. პირველ ომში მარცხის შემდეგ რუსეთმა მეორე ომში შეძლო აღედგინა კონტროლი ჩეჩენეთზე. გამოირჩეოდა სისასტიკითა და დიდი მსხვერპლით მშვიდობიან მოქალაქეებს შორის. ასობით ათასი ადამიანი ლტოლვილად იქცა, რუსეთის ჯარებმა სრულად გაანადგურეს ჩეჩენეთის დედაქალაქი გროზნო, რის გამოც 2003 წელს გაერომ ქალაქს „პლანეტის ყველაზე განადგურებული ქალაქის“ სტატუსი მიანიჭა.

## დანართი №1

### რეკომენდაციები პომალექსური დავალების პროდუქტების შესაძლებლად

#### სლაიდშოუს შექმნისას

- სლაიდებზე დაწერეთ მცირე ტექსტი, რომელსაც წარდგენისას ზეპირად განავრცობთ;
- იმისთვის, რომ სლაიდზე განთავსებული ტექსტი მარტივად აღსაქმელი იყოს, ღია ფონზე მუქი ასოებით და დიდი შრიფტით (18-20) წერეთ;
- შედარებით დიდი ტექსტი დაყავით ბულეტებად;
- სლაიდები ტექსტის შესაბამისი ფოტოებით გააფორმეთ, თუმცა არ გადატვირთოთ.

#### პოსტერის შექმნისას

- ტექსტი დაწერეთ დიდი ასოებით, რათა მისი წაკითხვა შორიდანაც მარტივი იყოს. ეცადეთ, პოსტერი არ გადატვირთოთ ტექსტით. გამოკვეთეთ მხოლოდ საკვანძო ფრაზები;
- ტექსტი შესაბამისი სურათებით გააფორმეთ;
- თუკი პოსტერის შექმნას ელექტრონულად გადაწყვეტით, საიტზე [www.canva.com](http://www.canva.com) (Templates ველში) პოსტერის ნიმუშების მოძებნა და მათი გადაკეთება შეგიძლიათ. უფასო ნიმუშები აღნიშნულია წარწერით – Free.

#### რა არის ინფოგრაფიკა და რა უნდა გავითვალისწინოთ მისი შექმნისას

ინფოგრაფიკა მონაცემების ან ამბების ვიზუალიზაციის საშუალებაა, რომლის მიზანია აუდიტორიამდე რთული ინფორმაციის მარტივად და სწრაფად მიტანა.

- აირჩიეთ მინიმალისტური სტილი;
- შეარჩიეთ მხოლოდ საკვანძო და დასამახსოვრებელი სიტყვები;
- შეარჩიეთ სიტყვების შესაბამისი სიმბოლოები;
- შეგიძლიათ გამოიყენოთ გრაფიკები, დიაგრამები, რუკები და ა.შ.;
- აირჩიეთ კარგად გარჩევადი შრიფტი, არ გადატვირთოთ ფერებით;
- [www.canva.com](http://www.canva.com)-ზე (Templates ველში) ინფოგრაფიკის შაბლონების მოძებნა და მათი გადაკეთება შეგიძლიათ. უფასო ნიმუშები აღნიშნულია წარწერით – Free.

#### კომიქსის შექმნისას

- შეარჩიეთ/დახატეთ თქვენი კომიქსის პერსონაჟები (კომიქსი შეიძლება შექმნილი იყოს ქაღალდის ფურცელზე ან ელექტრონულად, მაგ., word-ში, power point-ში);
- წინასწარ მოიფიქრეთ სიუჟეტი და პერსონაჟები ასაუბრეთ მცირე ტექსტებით. თქვენი კომიქსი შეიძლება მხოლოდ ერთი სიტუაციისგან შედგებოდეს ან რამდენიმე ეპიზოდს აერთიანებდეს;
- [www.canva.com](http://www.canva.com)-ზე (Templates ველში) კომიქსების შაბლონების მოძებნა და მათი გადაკეთება შეგიძლიათ. უფასო ნიმუშები აღნიშნულია წარწერით – Free.

## ვიდეორგოლის შექმნისას

- წინასწარ აიღეთ ნებართვა ვიდეოში მონაწილე თითოეული ადამიანისგან, რომ მის გადაღებას აპირებთ, ასევე წინასწარ შეუთანხმდით, თუ ვიდეოს გავრცელებას გეგმავთ (იგივე წესი ვრცელდება ფოტოებზეც);
- ვიდეოს დამუშავება შეგიძლიათ საიტზე [www.kapwing.com](http://www.kapwing.com) (სხვადასხვა ფუნქციის, მათ შორის მონტაჟის სანახავად ეწვიეთ tool-ის ველს).

## კვლევის ჩატარებისას

- წინასწარ ჩამოაყალიბეთ კვლევის მიზანი და კითხვები;
- თუკი კვლევას პირისპირ ინტერვიუს სახით ატარებთ, უმეტესად ღია კითხვები დასვით;
- გამოკითხეთ სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის ადმიანები (თუ რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს არ იკვლევთ);
- კვლევის მონაწილეებს წინასწარ გააცანით კვლევის მიზანი და შეუთანხმდით მონაწილეობაზე;
- კვლევის ანგარიშის დაწერისას აღწერეთ, რამდენი ადამიანი გამოკითხეთ, რომელ კითხვებს უპასუხეს მათ, ხოლო პასუხები დაჯამებულად წარმოადგინეთ. კვლევის ბოლოს, შედეგებიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბეთ დასკვნა;
- კვლევის ელექტრონულად ჩატარებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ Google Forms, რომლის შექმნის ინსტრუქციასაც ამ QR კოდის საშუალებით შეგიძლიათ, გაეცნოთ.



## კითხვარის ნიმუში სოციოლოგიური გამოკითხვისათვის

მოსწავლის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

ანკეტა № \_\_\_\_\_

ასაკი

სქესი

რა ძირითადი პრობლემები გაწუხებთ (3-5 საკითხი)

1

2

3

4

5

თქვენი აზრით, ჩამოთვლილი პრობლემებიდან რომელი შეიძლება მოაგვაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ (2-3 საკითხი)

1

2

3

დამატებითი შენიშვნა (თუ ასეთი გაქვთ)

დიდი მაღლობა!